პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 187 (13272) | სამშაბათი, 10 აგვისტო, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲒᲔᲑᲐ-ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲞᲐᲠᲢᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ

ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ წლის 15 აგვისტოდან 1 ოქტომბრამდე ჩვენს რესპუბლიკაში მოეწყობა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელი პარტიული ორგანოთა ანგარიშგება-არჩევნები. შემდეგ გაიმართება რაიონული, საქალაქო და საოლქო პარტიული კონფერენციები, რომლებიც წლის ბოლომდე გასტანს. ამ კონფერენციებზე განიხილავენ პარტიული კომიტეტებისა და სარევიზიო კომისიების ანგარიშებს, აირჩევენ მათს ახალ შემადგენლობას და საქართველოს კპ XXIII კონგრესზე გასაგზავნ დელეგატებს.

პირველადი, რაიონული, საქალაქო და საოლქო პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომუნისტთა ცხოვრებაში. ანგარიშგება-არჩევნებმა უნდა უზრუნველყოს ყველა პარტორგანიზაციის მოღვაწეობის გადაჭრით გაუმჯობესება, საწარმოებსა და კულტურულ მშენებლობაში მათი როლის ამაღლება, კომუნისტთა აქტივობის ზრდა.

პირველადი პარტიული ორგანიზაციები ჩვენი პარტიის საფუძველს შეადგენენ. მათ ეკუთვნით ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში. რაც უფრო მტკიცეა თვითეული პარტორგანიზაცია, რაც უკეთ მუშაობს იგი, მით უფრო ძლიერია პარტია მთლიანად.

ჩვენი პარტიის ერთ-ერთი უძველესი და მოწინავე რაზმის — საქართველოს კომპარტიის პირველადი ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ XXII კონგრესის დიდ წინასწარდასახულობებს, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის, ნოემბრისა და მარტის პლენუმების გადაწყვეტილებებს, ყოველდღიურად განაგრძობენ კავშირს მასებთან, სრულყოფენ მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს.

პარტორგანიზაციების მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებს, საწარმოო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლას, პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი ყოველივე აუცილებელს აკეთებენ იმისათვის, რომ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს შეეძლოთ მეტი, ეფექტური გაკეთება მოახდინონ სამეურნეო საქმეებზე, იმოქმედონ ყველაზე აქტიური მეთოდებით. ყოველი პირველადი პარტიული ორგანიზაციის მოღვაწეობა შეფასდება იმის მიხედვით, თუ რა წვლილი შეაქვს მას თავისი საწარმოს, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის ეკონომიკაში. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ყველა საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე სუფთადეს მაღალი მომზადებულობის სულისკვეთება, გაიშალოს კრიტიკა და თვითკრიტიკა, იგრძნობოდეს პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა და მათი არჩეული ორგანოების მოღვაწეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

შარშან გამართულ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე ტყიბულელმა მეშახტემ კომუნისტებმა ყურადღება გაამახვილეს ამათო მრეწველობაში არსებულ ჯერ კიდევ გადაუჭრელ საკითხებზე. დასავლეთის შახტის პირველადი პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე აღინიშნა, რომ მიწისქვეშა სანგრევები ისევდ მარადგებოდა ლუმში პაერის გამტარი რეზინის მილებით, ქვანახშირის მომზადებული კონვეიერების ლითონის ღარებითა და ამძრავი ჯაჭვებით, სუსტად იბრძოდნენ ტექნიკური პროგრესისათვის. საანგარიშო-საარჩევნო კრების შემდეგ შახტში აქტიური ბრძოლა გაჩაღდა კომუნისტთა განაწესის შესასრულებლად. ამის შედეგად აქ შესამჩნევად გაუმჯობესდა ტექნიკური მომარაგება, სამთო ჰორიზონტებზე დამონტაჟდა ქვანახშირის მომზადებული ახალი კონვეიერები. ისინი დისტანციურ-ავტომატურ მართვაზე გადაიყვანეს. ტექნიკურმა პროგრესმა დაიჩქარა საკოქსე ქვანახშირის მოპოვების ტემპი. შახტმა მარტო მიმდინარე წლის განვლილ შვიდ თვეში გეგმის გადამეტებით ამოიღო 8.428 ტონა „შავი ოქრო". მაგრამ ეს წარმატებანი იმას არ ნიშნავს, თითქოს ამ საწარმოში ყველაფერი რიგზე იყოს. აქაური კომუნისტებს მომავალ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე კვლავაც ბევრი რამ ექნებათ სათქმელი. ჯერ კიდევ მაღალია შახტში მოპოვებული სათბობის თვითღირებულება. საკმარისია ითქვას, რომ წლის პირველ ნახევარში ტონა ქვანახშირის თვითღირებულება რამდენიმე კაპიკით გაიზარდა. მარტო ამ გზით შახტმა ათასობით მანეთი იზარალა. აქ ხშირად ირღვევა ექსპლოატაციის ტექნიკური უსაშიშრობის წესები, რახაც ზოგჯერ არასასიამოვნო შედეგები მოსდევს. კომუნისტებმა ვერ შეძლეს ყველა რეზერვის ამოქმედება და წარმოების სამსახურში ჩაყენება.

გასულ წელს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კომუნისტებმა საამქროთა პარტორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე, აკრეთვე ქარხნის პარტიულ კონფერენციაზე ყურადღება გაამახვილეს ისეთ ძირეულ საკითხებზე, როგორიც არის წარმოებაში ტექნიკური პროგრესის დანერგვისათვის ბრძოლა. ტექნიკური სრულყოფა და სხვ., რამაც ასახვა ჰპოვა კომუნისტთა განაწესში. მეტალურგი კომუნისტები ღრმად ჩასწვდნენ ეკონომიკის საკითხებს. მათი ინიციატივით ბევრი ისეთი ღონისძიება განხორციელდა, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი შრომის ნაყოფიერების ზრდას და ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესებას. მიმდინარე წლის შვიდ თვეში ქარხანაში სახელმწიფო გეგმის გადამეტებით გამოშვებულ იქნა ათასობით ტონა თუჯი, მზა ნაგლინი, მილები, აგლომერატი, კოქსი და სხვ.

ჩვენს სამრეწველო საწარმოთა მუშაობაში ნაკლოვანებანი და ხარვეზებიც არის. ბევრი მათგანი ვერ ასრულებს ახალი ტექნიკის დანერგვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებებს. სრულად არ არის გამოყენებული ახალაშენებული საწარმოო სიმძლავრეები. არადამაკმაყოფილებლად მუშაობს სამშენებლო ორგანიზაციათა ერთი ნაწილი. საანგარიშო-საარჩევნო კრებების მომზადებისა და მოწყობის მსვლელობაში ღრმად უნდა გავერკვეთ ამ ნაკლოვანებათა გამომწვევ მიზეზებში. ამასთან ერთად მთელი ხმით უნდა ვილაპარაკოთ ადამიანებზე, რომლებიც მოწოდებული არიან გადაწყვიტონ ეს ამოცანები, დასახონ კოლექტივებში ორგანიზაციული და იდეურ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების გზები. იქაც კი, სადაც საქმე საერთოდ ცუდად როდი მიდის, ცოტა შესაძლებლობა არ არის უფრო მეტი წარმატება მოიპოვონ. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იმოქმედებს პარტორგანიზაცია, თვითეული კომუნისტი გამოუყენებელი რეზერვების ახამოქმედებლად.

განსაკუთრებით პასუხსაგები ამოცანები დგას ახლა სასოფლო პარტიული ორგანიზაციების წინაშე. ეს ამოცანები მთელი თავისი სიდიადით დადგა მათ წინაშე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის შემდეგ. ბევრ სასოფლო პარტიულ ორგანიზაციაში ანგარიშგება-არჩევნები შედგება მასობრივ საველე სამუშაოთა გაჩაღების პერიოდში. მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო წელი მძლავრი აღმავლობის წელი უნდა გახდეს. სოფლის კომუნისტებმა საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე უურადღებით უნდა განიხილონ, თუ რატომ ეფექტურად არ იყენებენ ცალკეულ მეურნეობებში მიწას, არადამაკმაყოფილებლად ავითარებენ მეცხოველეობას, სუსტად ნერგავენ წარმოებაში მეცნიერების მიღწევებს, ნოვატორთა გამოცდილებას, რატომ არის, რომ ჯერ კიდევ დაბალია შრომის დისციპლინა.

საანგარიშო-საარჩევნო კრებების მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებმა. კომუნისტთა მოვალეობაა მიაღწიონ საბრნაო მშენებლობის, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომ გაუმჯობესებას.

ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული იდეოლოგიური მუშაობის მდგომარეობაზე. ამიტომ პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა სერიოზულად უნდა იმსჯელონ მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საკითხებზე.

საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე ცენტრალური ადგილი უნდა დაიკავოს შინაპარტიული მუშაობის საკითხებმა, რადგან ისინი ბევრგან ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს ცხოვრების მოთხოვნებს.

კომუნისტებმა განსაკუთრებული უურადღება უნდა მიაქციონ პირველადი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოს ახალი შემადგენლობის, აგრეთვე პარტიული კონფერენციის დელეგატების არჩევნებს. ეს გასაგებიც არის, რადგან იმაზე, თუ ვის აირჩევენ ისინი, ბევრად იქნება დამოკიდებული პარტორგანიზაციის შემდგომი მოღვაწეობა. პარტბიუროსა და პარტკომის შემადგენლობაში უნდა ავირჩიოთ ყველაზე ღირსეული — საუკეთესო, მოწინავე მუშები, კოლმეურნეები, სპეციალისტები და სხვა მუშაკები, რომლებმაც ხალხში ავტორიტეტი და პატივისცემა დაიმსახურეს, თავი გამოიჩინეს როგორც კარგმა ორგანიზატორებმა და აღზრდელებმა.

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მოვალეობაა ქმედითად დაეხმარონ პირველად პარტიულ ორგანიზაციებს მოაწყონ კრებები მაღალ ორგანიზაციულ და იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, შინაპარტიული დემოკრატიის ზუსტად დაცვით, ნაკლოვანებათა კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით.

ანგარიშგება-არჩევნების უნარიანად მოწყობა უფრო ამაღლებს პირველადი პარტორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობას, ხელს შეუწყობს კომუნისტთა შემდგომ შეკავშირებას, მათი აქტივობის გაძლიერებას კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის ბრძოლაში.

ᲞᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ სამეურნეო წელი თავიდანვე გამართულად დაიწყო ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის კოლექტივმა. ქარხანამ, რომელიც შვიდწლედის დავალებათა ვადაზე ადრე შესრულებისათვის იბრძვის, განვლილ შვიდ თვეში დიდი გადაჭარბებით შეასრულა საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების საწარმოო გეგმა და გეგმის გადამეტებით რამდენიმე ათეული ათასი მანეთის პროდუქცია მისცა სამშობლოს.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა დამატებით მიიღებს „რიონის" მარკის მცირეგაბარიტიან 60 ტრაქტორს, მთის პირობებში გამოსაყენებელ 269 ცალ გუთანს და სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების დიდძალ სათადარიგო ნაწილებსა და ხელსაწყოებს.

ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘᲡ დამამთავრებელი წლის შვიდ თვეში თბილისის № 1 მექანიკური ქარხნის კოლექტივმა საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების დავალება ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულა და გეგმის გადამეტებით 41 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

ᲕᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ შესავალში. შვიდწლედის მოწინავე ადამიანთა გამოფენილი სურათების ზემოთ წარწერა გვამცნობს, რომ თბილისის ბამბის ფაბრიკის კოლექტივი იბრძვის კომუნისტური შრომის საწარმოს სახელის მოსაპოვებლად.

ამ საპატიო სახელის მოპოვებისათვის ბრძოლაში ფაბრიკის კოლექტივი თავლსაჩინო წარმატებას აღწევს. აქ ყოველთვიური საწარმოო დავალებანი [illegible] ვნელოვანი გადაჭარბებით სრულდება. განვლილ შვიდ თვეში ფაბრიკის კოლექტივმა კარგი შრომა გასწია, დავალება ყველა მაჩვენებლების მიხედვით გადაჭარბებით შეასრულა და გეგმის გადამეტებით 26 ტონა ბამბა გამოუშვა. პროდუქციის ხარისხზეც ვერ დავიმდურებით მათ, ამას ისიც [illegible] მიმშვებულ პროდუქციაზე ფაბრიკას წელს არც ერთი რეკლამაცია [illegible]

შვიდწლედის დავალებათა შესრულებისათვის [illegible] ჯიბრებაში დაწინაურდა პიროსმანაშვილი ბამბის [illegible] ვის ბრიგადა, რომელმაც შვიდ თვეში 13 ტონა ზეგეგმური ბამბა გამოუშვა. [illegible] შვენელოვანი მაჩვენებლები აქვთ ბამბის მხარეებს ვ. დემურიას, კ. შიშკინას, ცვლის ოსტატს ვ. პაპიაშვილს.

ᲒᲐᲗᲝᲛᲘᲡ მანქანათსამშენებლო ქარხნის კოლექტივმა სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად შვიდწლედის დამამთავრებელი წლის შვიდი თვის საწარმოო დავალების გადამეტებით სასოფლო-სამეურნეო მანქანების 9 ათასი მახეთის საათადარიგო ნაწილები გამოუშვა, ხოლო კვების მრეწველობის საწარმოებს გეგმის გადამეტებით 4 ათასი მანეთის პროდუქცია გაუგზავნა.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ
ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 9 აგვისტო. (საკდესი). დღეს საბჭოთა მთავრობის მოწვევით მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი სუათ ჰაირი ურგიუპლუ.

ვნუკოვო-2 აეროპორტში საპატიო სტუმარს შეხვდნენ ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ნ. ვ. პოდგორნი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები პ. ფ. ლომაკი, ვ. ნ. ნოვიკოვი და სხვები.

შეხვედრის დროს ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა თურქეთის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი სუათ ჰაირი ურგიუპლუ, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში, 9 აგვისტოს კრემლში ეწვია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს და მეგობრული საუბარი ქონდა მასთან.

იმავე დღეს საპატიო სტუმარი ეწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს გ. ს. ძოწენიძეს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ 9 აგვისტოს კრემლის დიდ სასახლეში გამართა სადილი თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის სუათ ჰაირი ურგიუპლუს პატივსაცემად.

თურქეთის მთავრობის მეთაურთან ერთად სადილზე იყვნენ მისი თანმხლები პირნი, აგრეთვე თურქეთის ელჩი საბჭოთა კავშირში ვაჰიტ ჰალეფოღლუ და თურქეთის საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, დ. თ. უსტინოვი და სხვა ოფიციალური პირები. (საკდესი).

ᲑᲠᲘᲐᲜᲗᲘᲡ ᲝᲚᲥᲘ. დიატკოვსკის ბროლის ქარხანა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ქარხნის მუზეუმში, სადაც ექსპონირებულია მუშების მიერ შექმნილი საუკეთესო პროდუქცია.

ფოტო ი. რაბინოვიჩისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲛᲝᲚᲓᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲣᲠᲘ

ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ აღების სამუშაოთა ფრონტი მიიწევს ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთისაკენ. მუშაობაში ჩაებნენ ლიტვისა და ლატვიის, კიროვის, გორკისა და მთელი რიგი სხვა ოლქების მიწათმოქმედნი. მალე მკას დაიწყებენ უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებში. აგვისტოს პირველ ხუთდღეიერში პურეული მომკილია თითქმის რვა მილიონ ჰექტარზე, სულ მოსავლის აღების დაწყებიდან 5 აგვისტამდე. სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მარცვლეული და სამარცვლე პარკოსანი კულტურები (სიმინდის ჩაუთვლელად) მომკეს 40 მილიონ 816 ათას ჰექტარზე, რაც გეგმის 33 პროცენტს შეადგენს. გალეწულია 32 მილიონ ჰექტარზე აღებული პური.

მკედან ლეწვამდე დრო შემცირდა, მაგრამ რუსეთის ფედერაციის, უკრაინისა და სხვა რესპუბლიკების მთელ რიგ რაიონებში საჭიროა გაძლიერდეს მინდვრად ღუარეულების აღების ტემპი, რომ თავიდან აცილოთ მარცვლეულის დაკარგვა.

მოლდავეთი მოწათმოქმედნი მკას ამთავრებენ. მათ მოსდგეგენ აზერბაიჯანელი მხვნელ-მთესველები, რომლებმაც 86 პროცენტით შეასრულეს მკის გეგმა. უკრაინამ და უზბეკეთმა მომკეს მარცვლეულის დაახლოებით სამი მეოთხედი მოსავალი. სტავროპოლის მხარეში, ყუბანსა და როსეთის ფედერაციის მთელ რიგ სხვა სამხრეთის რაიონებში მკა დამთავრდა, მაგრამ რესპუბლიკამ კიდევ უნდა მომკას ნათესების ორი მესამედი.

(საკდესი).

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲘᲡ ᲒᲔᲘᲛᲘ

ᲙᲝᲜᲒᲝᲡ ეროვნული რეგოლეციური მოძრაობის პარტიის ხელმძღვანელობისა და რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით 9 აგვისტოს ბრაზავილში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. ნ. ზარობიანი.

ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲠᲐᲓᲘᲝᲚᲐ

ᲓᲜᲔᲞᲠᲝ�პᲔᲢᲠᲝᲕᲡᲙᲘ. (საკდესის კორ.). დნეპროპეტროვსკის რადიოქარხანამ გამოუშვა მემილიონე რადიოლა „ლუჩ მ". საწარმოს კონსტრუქტორებმა გამოსაშვებად მომზადეს ახალი რადიოლა „ჩაიკა". იგი ოთხდიაპაზონიანია, აქვს ჩინებული კლავიატურა, სამსიჩქარიანი ფონსაკრავი.

ᲡᲘᲜᲒᲐᲞᲣᲠᲘ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 9 აგვისტო. (საკდესი). დღეს სინგაპური გამოვიდა მალაიზიის ფედერაციიდან, იუწყება რეიტერის სააგენტო.

ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია, რომ შეთანხმებას ამის გამო შაბათს ხელი მოაწერეს მალაიზიის ფედერაციის პრემიერ-მინისტრმა აბდულ რაამანმა და სინგაპურის პრემიერ-მინისტრმა ლი კუან იუმ.

ᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲡᲬᲐᲕᲔᲑᲔᲚᲘ „ᲡᲐᲮᲣᲭᲐᲠᲘ"

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 9 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო საარდლობამ დღეს საოგონის მარიონეტულ რეჟიმს „საჩუქრად" გადასცა 4 თანამედროვე რეაქტიული ბომბდამშენი „B-57". ამ აქტით შეერთებულმა შტატებმა კიდევ ერთხელ დააღოვეს უენევის შეთანხმებანი, რომლებიც კრძალავენ თანამედროვე იარაღის მიწოდებას სამხრეთ ვიეტნამისათვის.

ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 9 აგვისტო. (საკდესი). გუშინ გვიან საღამოს დამთავრდა სოპოტში საპატრიოტო სიმღერის მე-5 საერთაშორისო ფესტივალი.

დიდი წარმატება ხვდა კანადელ მომღერალს მონიკა ლერარკს. ეროვნულ ფესტივალის „საერთაშორისო დღის" საუკეთესო სიმღერად ცნო კანადური სიმღერა „ჩემი ქვეყანა", რომელიც მონიკა ლერარკამ შეასრულა. მეორე ადგილი დაიკავა ბერძნულმა სიმღერამ, მესამე — შვედურმა და ინგლისურმა. სიმღერას „მოსკოვში მივალბიჯეს", რომელიც შეასრულა საბჭოთა მომღერალმა ედუარდ ხილმა, მსმენელები გულთბილად შეხვდნენ. მას მიენიჭა მეოთხე პრემია.

მონიკა ლერარკამ პირველი პრემია მიიღო აგრეთვე შემსრულებელთა კონკურსზე „პოლონეთის დღე". საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ედუარდ ხილმა მეორე ადგილი მოიპოვა პოლონური სიმღერის „ერთხელ კიდევ" შესრულებისათვის. მესამე ადგილზეა ბერძენი მომღერალი ნიკი კამბა.

ᲣᲐᲠᲘ ᲣᲗᲮᲠᲔᲡ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 9 აგვისტო. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი ათენდან იტყობინება, საბერძნეთის პარლამენტის დეპუტატებმა ცენტრის კავშირის პარტიისაგან დღეევანდელ დაბურულ სხდომაზე ხმა მისცეს იმის წინააღმდეგ, რომ სტეფანოს სტეფანოპულოსს შეექმნა ახალი მთავრობა.

ახალი მთავრობის შექმნა სტეფანოპულოსს გუშინ საღამოს დაავალა საბერძნეთის მეფემ.

ᲣᲐᲠᲘᲡᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲚᲝᲓᲘᲔᲑᲘ

ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲘ. 7 აგვისტო. (საკდესის კორ.). „სსრ კავშირის ხალხთა შემოქმედება" — ასე უწოდეს ჩვენი ქვეყნის მუსიკალური კოლექტივების დათვალიერებას, რომელიც აქ დაიწყო. დათვალიერება მიეძღვნა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს. ერევნელები უკვე გაეცნენ ბელორუსიისა და ყირგიზეთის ხალხური ინსტრუმენტების ანსამბლების, საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელოვნებას.

დღეს ფილარმონიის დიდ დარბაზში გაიმართა „ყაზახეთის სსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დასკვნითი კონცერტი.

ახლა ერევნელები ელიან წარმომადგენლებს ვოლგისპირეთიდან. მუსიკალური ესტაფეტა გადაეცემა ვოლგის რუსულ ხალხურ გუნდს.

ᲕᲐᲥᲐᲡ ᲡᲐᲚᲐᲛᲝᲗ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ, ცხრა აგვისტოს პირველ საათზე ქართველთა მწერლებმა და დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა თაიგულებით შეამკეს ვაჟა-ფშაველას საფლავი საქართველოს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმიდის პანთეონში.

საღამოს კი თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის საზაფხულო თეატრში გაიმართა დიდი ქართველი პოეტის ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

თეატრში ვაჟა-ფშაველას ხსოვნის აღსანიშნავად თავი მოიყარეს ქართველმა მწერლებმა, კულტურის და ხელოვნების მუშაკებმა, დედაქალაქის ინტელიგენციისა და შრომელთა წარმომადგენლებმა.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სახალხო პოეტმა გიორგი ლეონიძემ. „დიდება მთისა და ქართული პოეზიის არწივს!" — ასე დაასრულა მან თავისი სიტყვა.

დამსწრეებმა ინტერესით მოისმინეს პოეტ აღექსანდრე გომიაშვილის მოხსენება ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა, კრიტიკოსმა ბ. ჟღენტმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ე. ხარაძემ, სომეს მწერალთა დელეგაციის წარმომადგენელმა მწერალმა ვ. მნაცაკანიანმა.

ვაჟასადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს ი. ნონეშვილმა, ნ. გურეშიძემ, ახალგაზრდა დუშელმა პოეტმა ი. ტუნტურიშვილმა. ვაჟა-ფშაველას შვილიშვილმა გულქან რაზიკაშვილმა წაიკითხა ვაჟას შვილის ვახტანგ რაზიკაშვილის ლექსი მიძღვნილი სახელოვანი მამისადმი.

ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების 50 წლისთავის აღსანიშნავ საღამოს ესწრებოდნენ ამხანაგები მ. კუბპასა, პ. როწლინოვი, რ. შრეიძე, ბ. ჯაპახიშვილი, ი. ჩერქეზია, შ. ფოლიძე, ვ. სირაძე.

საღამო დასრულდა დიდი საკონცერტო განყოფილებით.

ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ

200.000 ტონა ნიოსოფალ!

ᲦᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად ლანჩხუთის რაიონის ბაბათის კოლმეურნეობის წევრმა ნათელა კილაძემ ნაკისრი ვალდებულება უკვე შეასრულა. 0,6 ჰექტარზე მოკრიფა 2.800 კილოგრამი „მწვანე ოქრო" და ამით წლეულ გეგმას 200 კილოგრამით გადააჭარბა. გოგოლი მექვაბიშვილს 0,5 ჰექტარზე წლიური გეგმით 2.600 კილოგრამი ჩაის ნედლეული უნდა მიეღო, ფაქტიურად 2.815 კილოგრამი მოკრიფა.

მარო მჭედლიძის პირობაა სოფელ ჯურუაყეთის კოლმეურნეობაში წელს სეზონში 0,3 ჰექტარზე მოკრიფოს 1.850 კილოგრამი ჩაის ნედლეული. მან სიტყვა სამედ აქცია. უკვე მოკრიფა 2.500 კილოგრამი ჩაი. სოფელ ნიგვზიანის კოლმეურნეობის წევრს მარგალიტა ურუშაძეს 0,6 ჰექტარზე სეზონში უნდა მიეღო 2.100 კილოგრამი ფოთოლი. მან პირობა ვადაზე დიდი ხნით ადრე გაანაღდა, მოკრიფა 3.200 კილოგრამი ხარისხოვანი ფოთოლი. ამავე კოლმეურნეობის წევრს ვერიჩკა კვაჭაძეს პირობა ჰქონდა 0,5 ჰექტარზე პირველ სექტემბრამდე მოეკრიფა 2.050 კილოგრამი ჩაის ნედლეული. ეს პირობა უკვე შეასრულა. მოკრიფა 2.250 კილოგრამი ფოთოლი.

მაზხარაძის რაიონის მელექედურის კოლმეურნეობის წევრს ლენა შარაძეს წელს სეზონში უნდა მიეღო 6.900 კილოგრამი ფოთოლი. ეს დავალება უკვე გაანაღდა. ამავე კოლმეურნეობის წევრმა თამარ გოგოტაძემ მოკრიფა 6.500 კილოგრამი „მწვანე ოქრო". ფოთლის კრეფის წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულა ონჭკათის კოლმეურნეობის კომუნისტური შრომის რგოლმა, რომელსაც ფირუზ ჯოხტაკა ხელმძღვანელობს. აქ 32.500 კილოგრამი ჩაის ნედლეული მოკრიფეს და ამით წლიური გეგმა უკვე გაანაღდეს.

ᲡᲘᲛᲦᲘᲤᲘᲡ ᲞᲐᲢᲔᲡᲢᲐᲢᲘᲗ

ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲮᲐ. (საკ. კორ.). საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სოფელ ჯვარის ახალგაზრდები მასობრივად მიდიან კოლმეურნეობაში სამუშაოდ. ერთი მათგანია ლიანა აქუბარდია. იგი 0,4 ჰექტარ ჩაის პლანტაციას უვლის და უხვ მოსავალსაც იღებს.

წელს ლ. აქუბარდიამ წლიური გეგმა ჯერ კიდევ ივნისის ბოლოს შეასრულა. დღემდე მოკრეფილი აქვს 4.200 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი, გეგმა კი 3 ათასი კილოგრამის მოკრეფას ითვალისწინებდა. ვალდებულებით ლ. აქუბარდია სეზონში 5 ათასი კილოგრამზე მეტ ჩაის ფოთოლს მოკრეფს.

ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲓᲐᲭᲣᲠᲕᲔᲑᲘᲚᲔᲑᲐ

ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐ. („კომუნისტის" კორ.). — აგვისტოს ბოლომდე შეასრულოთ ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა! ამ ლოზუნგით ფართოდ გაიჩაღეს მუშაობა რაიონის მეჩაიეებმა. მათ წლიური გეგმით 3.540 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი უნდა მოკრიფონ. უკვე მოკრეფილი აქვთ 3.200 ტონაზე მეტი. მეჩაიეებმა გადაწყვიტეს ჩაის ფოთოლი კრიფონ ყოველდღიურად, განუწყვეტლივ ყოველგვარ ამინდში, აუღებელი არ დატოვონ საკრეფად შემოსული არც ერთი კილოგრამი „მწვანე ოქრო".

ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ 186.432 ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲖᲔ

ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ აღების ფრონტმა ძირითადად მთიანი რაი

პარტიული ცხოვრება

პარტიული მუშაობის უმნიშვნელოვანესი უბანი

მუშაობისადმი ქალაქის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობის პრაქტიკაში ჯერ კიდევ დაძლეული არ არის ბევრი ნაკლი, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს მშრომელთა აღზრდაზე.

უდიდესი წარმატებები პარტიის ლენინური გენერალური ხაზის განხორციელებაში, წინგადადგმული დიდი ნაბიჯები კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისაკენ მიმავალ გზაზე განუყოფელია იმ დაუცხრომელი მუშაობისაგან, რასაც პარტია ეწევა მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის.

ახლა საყოველთაოდ ცნობილია, რომ მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდა, მისი დონე სულ უფრო გადამწყვეტ როლს ასრულებს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გადაუდებელი ამოცანების გადაჭრაში.

ახალი ადამიანის, კომუნიზმის შენგნებული მშენებლის აღზრდა და ფორმირება კომუნიზმის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობის პროცესში, შრომაში და მხოლოდ შრომაში ხდება.

ითვალისწინებენ რა ამას, ქალაქ ყუთაისის პარტიული ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ შრომისადმი შეგნებული, კომუნისტური დამოკიდებულების აღზრდას, მასების შრომითი ინიციატივის და შემოქმედებითი აქტივობის განვითარებას.

აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებამ ხელი შეუწყო შრომითი და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას. ყველაფერ ამას კი ის შედეგი მოჰყვა, რომ ქალაქის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა მიმდინარე წლის პირველი ნახევრის დავალება და განვლილ პერიოდში სამშობლოს მისცა დიდძალი ზედგამეთი პროდუქცია.

პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიურ მუშაობაში სულ უფრო ფართო ადგილს იკავებს ადამიანთა აღზრდა შრომის საუკეთესო მაგალითებზე. ზრუნვა კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის გასაფართოებლად. ახლა ათობით საამქრო და ასობით ბრიგადა ებრძვის კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელს, ათასობით ადამიანს მინიჭებული აქვს დამკვრელის სამპატიო წოდება.

ცნობილია, რომ ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის სიქარცთა კოლოფის საამქროს გამმართველის, რესპუბლიკის დამსახურებული რაციონალიზატორის ი. ხაზარაძის ინიციატივით პირველად ჩვენს ქალაქში ჩაისახა რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა კომუნისტური შრომის ბრიგადების მოძრაობა. ახლა ამ მოძრაობაში ქალაქის საწარმოების რაციონალიზატორთა ათობით ბრიგადა მონაწილეობს.

ქუთაისის პარტიულმა ორგანიზაციებმა შრომითი ენთუზიაზმის ალაფრთოვანებელ საქმეში კარგი, მრავალმხრივი გამოცდილება შეიძინეს. ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, პარტიული ორგანიზაციები მებრძოლ, კონკრეტულ, ყოველდღიურ მიზანსწრაფულ მუშაობას ეწევიან ადამიანებთან უნარიანად იყენებენ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ნაცად ფორმებსა და მეთოდებს. რომლებიც ცხოვრებით არის ნაკარნახევი.

ადამიანების შრომითს აღზრდაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს მატერიალური და მორალური სტიმულების სწორად შეხამება.

ამ მხრივ ბევრი რამ სასარგებლო შეიძლება გადმოვიღოთ ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გამოცდილებიდან. გადაწყვეტილი გვაქვს ქალაქის საწარმოებში თანმიმდევრულად, მოფიქრებულად დაენერგოთ შრომმეწოლი მორალური და მატერიალური წახალისების ის ახალი ფორმები, რომლებსაც პარტიის ვასილიევსკი ოსტროვის რაიკომი, კერძოდ, ბალტიის ქარხნისა და ლენინის ნაკეთობათა ქარხნის პარტიული ორგანიზაციები იყენებენ.

შრომაში მორალური სტიმულების განვითარებისათვის, მატერიალურ წახალისებასთან მათი სწორად შეხამებისათვის ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნისა და კიროვის სახელობის № 4 სამკერვალო ფაბრიკის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, სამეურნეო ხელმძღვანელები.

სამკერვალო ფაბრიკაში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ტექნოლოგიური ოპერაციების უდიფერენციალურ შესრულებისა და ნაწარმის ხარისხის ამაღლებისათვის. აქ შეიმუშავეს სპეციალური დებულება, რომლის მიხედვითაც შეჯიბრებაში გამარჯვებული მუშები პრემიის სახით მიიღებენ ხელფასის გარკვეულ პროცენტს. ამასთან დაწესებულია მორალური წახალისების ახალი ფორმები.

ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში საზეიმო ვითარებაში აწყობენ მოწინავეებისათვის კომუნისტური შრომის დამკვრელის სპეციალურ წოდების მინიჭებას. აქვე, მთელ რიგ საამქროებში, ცალკეა შემოღებული „წარმოების ვეტერანთა დაფა". ქარხნის პარტიული კომიტეტი ადამიანთა შრომითი და იდეური წრთობისათვის ფართოდ იყენებს თვალსაჩინო აგიტაციის მრავალფეროვან ფორმებსა და საშუალებებს.

ქალაქის პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ზრუნვის საგანია მოსახლეობის აღზრდა. შეიძლება ითქვას, რომ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ერთგვარი გამოცდილება შევიძინეთ.

ქალაქის პარტიული ორგანიზაციები ლენინგრადელთა გამოცდილების მიხედვით სახავენ და უკვე ახლა ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომი გაძლიერებისათვის.

იდეურ-აღმზრდელობითი და საგანმათლებლო მუშაობის ნამდვილ კერად იქცნენ საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი სახალხო უნივერსიტეტები. ამჟამად ჩვენს ქალაქში გახსნილია კულტურის ორი უნივერსიტეტი, დიასახლისთა ხუთი უნივერსიტეტი, აგრეთვე ესთეტიკის, ათეიზმის, სამართლის ცოდნის, ვაჟრობის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის, შობილთა უნივერსიტეტები.

პარტიის საქალაქო კომიტეტი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები იმისათვის ზრუნავენ, რომ თვითეული კომუნისტი, ყოველი მშრომელი ახალი საზოგადოების შეგნებული, იდეურად დარწმუნებული და აქტიური მშენებელი იყოს. ამ მიზნით სულ უფრო ქმედითი ხდება პარტიული პროპაგანდა, მაღლდება მისი გადამწყვეტი როლის — პოლიტიკური განათლების იდეური დონე, ფართოვდება პროპაგანდის გავლენის სფერო.

პოლიტიკური განათლების ქსელში გასულ სასწავლო წელს 13 ათასი კომუნისტი და უპარტიო აქტივისტი მეცადინეობდა. საგულისხმოა, რომ პროპაგანდისტთა კადრების 99 პროცენტს უმაღლესი განათლება აქვს, შემაჯამებელმა მეცადინეობამ გვიჩვენა, რომ ამაღლდა პროპაგანდის იდეური დონე და მისი შინაარსი, სწავლება მჭიდროდ დაუკავშირდა კომუნისტური მშენებლობის იმ პრაქტიკულ ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტისათვის იბრძვის საწარმოსა თუ მშენებლობის კოლექტივი.

დამოუკიდებელი სწავლება მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლების ძირითადი მეთოდი გახდა. უკვე გასულ სასწავლო წელს ამ ფორმამ მოიცვა ყველა მსმენელთა ნახევარზე მეტი. მათ დასახმარებლად შეიქმნა სემინარები, საკონსულტაციო ჯგუფები, რეგულარულად ეწყობა ლექციების ციკლი, თეორიული და ეკონომიური კონფერენციები, გასაუბრებები და კონსულტაციები.

მშრომელთა იდეური აღზრდა და ტექნიკურ-ეკონომიური სწავლება ერთიანი, განუყოფელი პროცესია. ასეთი სწავლების ყველაზე მოხერხებულ ფორმად კომუნისტური შრომის სკოლები ითვლება, რომლებიც ქალაქის ყველა მსხვილ საწარმოსთან არის შექმნილი და რომლებშიც ჩინებულად არის შეხამებული მუშების პოლიტიკური განათლება, და საწარმოო სწავლება. ამ სკოლების მსმენელებისათვის ეწყობა ლექციების ციკლი.

გადაჭრით ამაღლდა ხელმძღვანელი კადრების პასუხისმგებლობა მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმისათვის. ახლა საწარმოთა ხელმძღვანელები, საამქროთა უფროსები, როგორც წესი, არა მარტო კოლექტივში წარმოებულ აღზრდელობითს მუშაობას ცნობენ, არამედ პირადად გამოდიან ამ მუშაობის უშუალო ორგანიზატორებად. პროპაგანდისტთა შემადგენლობის ნახევარზე მეტი ხელმძღვანელი მუშაკია, ისინი შეადგენენ აგრეთვე აგიტკოლექტივების ხელმძღვანელების, აგიტპუნქტების გამგეების, ლექტორებისა და მომხსენებლების ძირითად ბირთვს.

ჩვენთან ფართოდ შემოვიდა პრაქტიკაში „ლექტორის დღე", რომელიც ყოველთვის ორგანიზებულად, მაღალ იდეურ დონეზე ეწყობა. საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები, ამ დღისათვის რომ ემზადებიან, წინასწარ სწავლობენ მშრომელთა სურვილებსა და მოთხოვნებს, ითვალისწინებენ, რომელ აუდიტორიას რა საკითხები უფრო აინტერესებს, და შემდეგ არჩევენ სათანადო ლექტორებს. როგორც წესი, ამ დღეს ერთდროულად ეწყობა ლექციები უშუალოდ საწარმოს საამქროებში, განყოფილებებსა და უბნებში, ლექციების თემატიკა კი ყოველთვის მრავალფეროვანი და საინტერესოა.

მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის ჩვენი ქალაქის პარტიული ორგანიზაციები უნარიანად იყენებენ საზოგადოებრივ საწყისებს. პარტიის საქალაქო კომიტეტთან, აგრეთვე მსხვილ საწარმოთა პარტიულ კომიტეტებთან შექმნილია იდეოლოგიური კომისიები, პოლიტიკური განათლების საზოგადოებრივი კაბინეტები და პარტიული ბიბლიოთეკები, საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს რადიომაუწყებლობის საქალაქო რედაქცია, აგრეთვე საწარმოებთან არსებული რადიოგადაცემათა ოცამდე რედაქცია.

ათასობით ადამიანი მონაწილეობს პარტიის საქალაქო კომიტეტის, საქალაქო საბჭოს აღმასკომის შტატგარეშე განყოფილებებისა და კომისიების, საწარმოებში შემქმნილი ეკონომიური ანალიზის ბიუროების, საზოგადოებრივი საკონსტრუქტორო ბიუროებისა და სხვა ორგანიზაციების მუშაობაში და მშრომელთა სულ უფრო ფართო ფენები ებმებიან აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ახალგაზრდობაში იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის, ჩვენი ხალხის, უფროს თაობათა შრომითს და რევოლუციურ ტრადიციებზე ახალგაზრდა თაობის აღზრდისათვის ქალაქის პარტიული ორგანიზაციები ყოველდღიურად ამეღერებენ ხელმძღვანელობასა და დახმარებას კომკავშირული ორგანიზაციებისადმი.

ბევრი საინტერესო, მიზანსწრაფული ღონისძიება ბორო�ललდება იმისათვის, რომ ახალგაზრდობას ჩავუნერგოთ სწორი კომუნისტური შეხედულებანი ცხოვრებაზე, საზოგადოებაზე, შრომაზე, ყოფაცხოვრებასა და ოჯახზე, ამ მიზნით ზნირად ეწყობა დისპუტები, თეორიული კონფერენციები, ლიტერატურული გასამართლებანი, კინოფილმების, სპექტაკლების, ახალი წიგნების საჯარო განხილვა, შეხვედრები ძველ ბოლშევიკებთან, სამამულო ომის ვეტერანებთან, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან, წარმოების ნოვატორებთან.

პარტიის საქალაქო კომიტეტი რეგულარულად განიხილავს სკოლების სასწავლო-სააღზრდელო მუშაობის საკითხებს. ამ უკანასკნელად ყველა პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში ღია პარტიულ კრებებზე დიდი სკა-ბაასი გაიმართა მოსწავლეთა აღზრდის საქმეში შშობელთა პასუხისმგებლობის საკითხებზე. გაძლიერდა უზედამხედველო და არასრულწლოვან ბავშვთა შორის მუშაობა.

ქალაქის ფაბრიკა-ქარხნებში და ახალმშენებლობებზე ქართველების მხარდამხარ ათობით სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი მუშაობს.

ეს გარემობა პარტიულ ორგანიზაციებს ავალებს უნარიანად წარმართონ მუშაობა საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდისათვის. ამ მხრივ კარგი გამოცდილება აქვთ საავტომობილო, ელექტრომექანიკური, ლმოთოფონის ქარხნებისა და აბრეშუმის კომბინატის პარტიულ ორგანიზაციებს. ამ საწარმოებში დიდი პოპულარობით სარგებლობს „მეგობრობის საღამოები" და „ხალხთა ძმობის საღამოები", რომლებზეც სხვადასხვა ეროვნების ადამიანები სულით და გულით ლაპარაკობენ თავიანთ ცხოვრებაზე, საქმიანობაზე, სწავლაზე, შრომითს მეგობრობაზე. ურთიერთდახმარება. ასეთ საღამოებს, როგორც წესი, ყოველთვის წინ უძღვის ლექცია ხალხთა მეგობრობაზე. ხოლო დასასრულ მართავენ კონცერტს ყველა ეროვნების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

უკვე რამდენიმე წელია გრძელდება და სულ უფრო ვითარდება ამერიკაკავკასიის მოძმე რესპუბლიკების მეორე ინდუსტრიული ცენტრების — ქუთაისის, ლენინაკანის და კიროვაბადის მშრომელთა ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება. გულთბილი მიწერ-მოწერა, მშრომელთა დელეგაციების გაცვლა, მოწინავე გამოცდილების ურთიერთგაზიარება ეხმარება სამივე ქალაქის მშრომელებს სახალხოდ გაანალდონ ნაკლისა ვალდებულებები.

ყველაფრიდან ჩანს, რომ მშრომელთა კომუნისტური აღზრდის, ახალი ადამიანის ფორმირებისათვის ცოტა რამ როდი გაკეთდა. მაგრამ იდეურ-პოლიტიკური ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია არადამაკმაყოფილებლად მუშაობს შრომითი აღზრდისათვის. ისინი არც თუ ისე ეშვიათად ყველაფერს ამოწურავენ მარტოოდენ ლექციებითა და მოხსენებებით, სუსტად იყენებენ მაგალითის ძალას, ნოვატორთა გამოცდილების პროპაგანდას, ნაკლებად ამახვილებენ ყურადღებას შრომითი და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცებაზე, კადრების დენადობის აღმოფხვრაზე, მუშათა საწარმოო-ტექნიკურ სწავლებაზე.

მხოლოდ შრომითი აღზრდის საქმეში არსებული ნაკლოვანებებითა და ახალგაზრდა მუშების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების მოუგვარებლობით უნდა ახსნას ის ფაქტი, რომ ქალაქის საწარმოებში, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციებში მუშათა დენადობა 15-20 პროცენტს აღწევს. ეს კი სერიოზულ ზიანს აყენებს საწარმოთა მუშაობას.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ყველა ფორმა არ არის გამოყენებული წარსულის ბავნე გადმონაშთების წინააღმდეგ საბრძოლველად. აღკვეთილი არ არის ამორალური ქცევის, პარაზიტული ცხოვრების, უსაქმურობისა და დანაშაულობათა ფაქტები. მშრომელთა თეატალური აღზრდა, ანტირელიგიური პროპაგანდა დღემდე არ ატარებს მიზანდასახულ ხასიათს.

პარტიის საქალაქო კომიტეტი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები ყოველი ღონისძიებით სრულყოფენ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსს, ფორმებსა და მეთოდებს, რათა მთელი ეს მუშაობა უფრო ქმედითი, მიზანსწრაფული იყოს და ხელს უწყობდეს ადამიანთა კომუნისტურ აღზრდას, კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის პრინციპების განუხრელ განხორციელებას, მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობის განვითარებას.

შ. კობახიძე,
საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

გვიხაროდა, არ კი გვჯერა...

რომელი მშობლის გული არ აგაგრდება სიხარულით ამ სახლის დანახვაზე. ეს არის მცხეთის ახალი საბავშვო ბაღის შენობა, რომელშიც ასი ბავშვი მოთავსდება. მისი აგება დაიწყო მიმდინარე წლის იანვარში. შესრულდა ათობით კუბმეტრი მიწის სამუშაო, მაგრამ ორიოდე თვის შემდეგ მშენებლებმა სხვა ადგილას გადერეს საძირკველი, რადგან პირველ მოედანზე მშენებლობის წარმოება შეუძლებელი აღმოჩნდა, საჭირო გახდა დოკუმენტაციის ხელახლა შედგენა, ამას კი დრო დასჭირდა.

მიუხედავად ამისა, მოკლე დროში ბევრი რამ გაკეთდა. უკვე მზად არის შენობის ორივე სართული. როგორც სამუშაოთა მწარმოებელი, ინჟინერი ვ. ტყეშელაძე გვარწმუნებს, ყველა საჭირო მასალა მზად არის. ასე რომ შენობა საეკსპლოატაციოდ გადაეცემა სექტემბერში.

— ბრიგელ სექტემბერს? — შეეკითხეთ ინჟინერს.

ახალგაზრდა ინჟინერი ჩაფიქრდა, ეტყობოდა უძნელდებოდა წინასწარ განესაზღვრა სამუშაოთა დამთავრების დრო:

— არა. პირველ სექტემბერს ვერ ჩავაბარებთ, მაგრამ სექტემბრის შუა ან ბოლო რიცხვებში კი აუცილებლად, — დაბეჯითებით თქვა მან.

— შენს პირს შაქარი, — გავიფიქრეთ ჩვენ. სამუშაოთა მწარმოებლის ასეთი იმედი გვიხაროდა, მაგრამ არ კი გვჯერდა, რადგან მშენებლობაზე [illegible] ბევრი სამუშაოა, [illegible] მანვეთიდან, [illegible] იხარჯოს, [illegible] ამის ნახევარი. მშენებლობაზე მუშახელის დიდი ნაკლებობა იგრძნობა. შემოწმების დღეს შენობის მეორე სართულზე მხოლოდ ორი კაცი — დურგლები პ. ტარიკოვსკი და გ. ბალარკიშვილი ფუსფუსებდნენ.

მართალია, სამუშაოთა მწარმოებელი გვარწმუნებდა, დღეს ისეთი საქმე არა გვაქვს, რომ ბევრი ხალხი იყოს საჭიროო, მაგრამ ეს საეჭვო გასლდათ, იმიტომ, [illegible] შენობის სექსპლოატაციაში მოუთმენლად ელოდა ახალი შენობას. დროზე შეკვეთილოთ მათ სურვილი — ეს მშენებელთა ღირსების საქმეა.

„კომუნისტის" საგუშაგო: მცხეთის ახალგაზრდა ბაღის თანამშრომლები ე. პაპიაშვილი, მ. მეტეოლი, ბ. თოთიკი, ხ. თათარაშვილი, ა. თომაძე

„კომუნისტის" საკკორ.

ყველაფერი სკოლისათვის

ფელს ძვირფას საჩუქარს მიიღებენ სოფელ შაშიანის საშუალო სკოლის მოსწავლეები. აქ აშენდა 420 მოსწავლისათვის ტიპური სასკოლო შენობა, რომელსაც 22 საკლასო ოთახი, სასწავლო ლაბორატორიები და სპორტული დარბაზი აქვს. სოფელ ჯიმითის საშუალო სკოლას შეეძატა 4 საკლასო ოთახი. საკლასო ოთახები მიეძატა აგრეთვე მუკუზნის 8-წლიან და ვეჯინის საშუალო სკოლებს. წლის ბოლომდე დამთავრდება ბაკურციხის 8-წლიანი სკოლისათვის 12 საკლასო ოთახის მიშენება. მთელ რიგ სოფლებში უკვე დამთავრდა სასკოლო შენობათა მიმდინარე რემონტი.

რაიონის მშრომელები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ახალი სასწავლო წელი ორგანიზებულად დაიწყოს.

ს. შაპარაშვილი,
გურჯაანი.

მეტი ყურადღება მრავალწლიანი ნარგავების მოვლას

საქართველოს სოფლის მეურნეობაში მრავალწლიან კულტურებს — ჩაის, ვაზსა და ხეხილს წმყვანი ადგილი უჭირავს და დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. რესპუბლიკის უმეტეს რაიონებში მეჩაიეობა, მევენახეობა და მეხილეობა კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავლის ძირითადი წყაროა. ამასთან ქართული ჩაი, ხილი, ყურძენი, ღვინო, კონიაკი, კომპოტები საქეიფოდ ცნობილი მაღალხარისხოვანი საკვები პროდუქტებია, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო როგორც საკვებს, არამედ როგორც სამკურნალო საშუალებებსაც.

საქართველო ჩაის ძირითადი მწარმოებელია, იგი სახელმწიფოს აძლევს საბჭოთა კავშირში წარმოებული ჩაის 96 პროცენტზე მეტს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებთ მთავარ ამოცანად კვლავ მიჩნეულია მრავალწლიანი ნარგავების შემდგომი გაფართოება, ჩაის, ყურძნისა და ხილის მოსავლიანობის ზრდა ნარგაობის მოვლის პროგრესული ღონისძიებებისა და მექანიზაციის ფართოდ დანერგვის გზით.

მრავალწლიანი კულტურების გაშენების, ჩაის ხარისხოვანი ფოთლის, ყურძნის, ხილის წარმოებისა და დამზადების საქმეში განსაკუთრებით კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს ჭიათურის, მახარაძის, ზუგდიდის, გურჯაანის, გორის, ზესტაფონის, თერჯოლის, წყალტუბოსა და სხვა რაიონების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

ის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც სანმეშოდ ასრულებენ ავროტექნიკურ ღონისძიებებს და წარმოებაში ნერგავენ მეცნიერების მიღწევებსა და მოწინავეთა გამოცდილებას — სისტემატურად მაღალ მოსავალს იღებენ.

მეჩაიეობის, მევენახეობისა და მეხილეობის განვითარების საქმეში გარკვეულ მიღწევებთან ერთად ჯერ კიდევ გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც საგრძნობლად აფერხებენ რესპუბლიკის ამ დიდმნიშვნელოვანი დარგების შემდგომ განვითარებას.

საზოგადოებრივი ბაღები და ვენახები 1962—1965 წლებში საკმაოდ დიდ ფართობებზე გაშენდა, მაგრამ ცუდი მოვლის შედეგად ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში იყო ახლადგაშენებული ბაღებისა და ვენახების დაღუპვის შემთხვევები. მაგალითად, მოუვლელობის შედეგად საგარეჯოს რაიონში დაიღუპა 24 ჰექტარი ბაღი და 378 ჰექტარი ვენახი. შესაბამისად გურჯაანის რაიონში — 26 ჰექტარი ბაღი და 335 ჰექტარი ვენახი, ყვარლის რაიონში — 35 ჰექტარი ბაღი და 588 ჰექტარი ვენახი, თელავში დაიღუპა 599 ჰექტარი ვენახი, ლაგოდეხში — 31 ჰექტარი ხეხილის ბაღი, სიღნაღში — 413 ჰექტარი ვენახი, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში 117 ჰექტარი ბაღი და 87 ჰექტარი ვენახი. ახალგაზრდა მრავალწლიანი ნარგავების დაღუპვის შემთხვევებია რესპუბლიკის სხვა რაიონებშიც.

მრავალწლიანი ნარგავების ცუდი მოვლის შედეგია, რომ ნარგაობის სიმეჩხერე. რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჯერ კიდევ დიდია; ხეხილის ბაღების სიმეჩხერე 16,3 პროცენტს შეადგენს, ვენახებისა —20 პროცენტს, ხოლო ახალგაზრდა ჩაის პლანტაციებში სიმეჩხერე ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია.

სიმეჩხერის ლიკვიდაციისათვის ჩვენმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს — ვენახებში ჩაყრილი და გადაწყდნული 7-8 მილიონი ძირი ვაზი, ბაღებში დარგულია 300-400 ათასი ძირი ხეხილი; ჩაის პლანტაციებში 16 მილიონამდე შეხვსებულ კოტტებში ჩამოყვანილი ნერგი დაირგო, მაგრამ ეს სრულიად არ არის საკმარისი. თვითეულმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს ნარგაგების რემონტის საქმეს, უნდა დაეწესოს ნარგავების რემონტის გეგმა იმ ანგარიშით, რომ სიმეჩხერის ლიკვიდაცია დამთავრდეს შემდგომი ორგანიზაციის მიერ დაწესებულ ვადაში — 1967 წლის დამლეგისათვის. საამისო საშუალებანი გვაქვს და ეს საქმე აუცილებლად უნდა გავაკეთოთ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიმდინარე წლის ივნისში შეამოწმა ზოგიერთ რაიონში მრავალწლიანი ნარგავების მოვლა-დამუშავების მიმდინარეობა. შემოწმებამ აცხადყო, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 3 სექტემბრის დადგენილება ბევრ რაიონში ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებლად ვერ სრულდება; ზოგიერთი რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კვლავ მოუწესრიგებელია ნარგავების აღრიცხვა; ამ საქმეში ბრალი მიუძღვით რაიონების საწარმოო საამართველოებს, რაიაღრიცხვის განყოფილებებს და თვით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს.

მრავალწლიანი ნარგავების აღრიცხვის მოწესრიგების მიზნით, ზემდგომი ორგანოების დადგენილება საფუძველზე სოფლის მეურნეობის სამინისტროს შეიმუშავა ნარგავების აღრიცხვის პასპორტი, რომელიც ყველა საწარმოო საამართველოს დაეგზავნა. რაიონის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელმა ორგანოებმა უნდა მიიღონ საჭირო ზომები, რათა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა პასპორტების შემოღებით დაამყარონ წესრიგი აღრიცხვის საქმეში. ხოლო ამ ღონისძიების განხორციელებისათვის პასპორტსმგებლობა უნდა დაეკისროს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს.

შემოწმებულ რაიონებში მრავალწლიანი ნარგავების მოვლა-დამუშავების საქმეში გამოვლინებული ნაკლოვანებანი ეროვნულია აგროტექნიკური ხასიათის დარღვევები. მაგალითად, გაგრის რაიონის სოფელ ლესელიძის კოლმეურნეობა „მეგობრობაში" და გულრიფშის რაიონის სოფელ ლაღიმირიოვის კოლმეურნეობაში ბაღებისა და ვენახების მწკრივთშორისების დამუშავება (ხვნა) ეწყობოდა მაისის დამლეგს და ივნისის დამდეგს, რაც საერთოდ საზიანოა ნარგაობის ნორმალური განვითარებისათვის.

გორის რაიონის სოფელ მეღვრეკისის კოლმეურნეობა „დიდ ლიახვში" 1964-1965 წლის გაზაფხულზე გაშენებული 31 ჰექტარი ბაღის 30-40 პროცენტი ცუდი გაშენებისა და ურწყაობის შედეგად გახმობის პირამდეა მისული.

მეტ წილ კოლმეურნეობებში ახალგაზრდა ბაღ-ვენახების მწკრივთშორისები გამოყენებულია ერთწლიანი კულტურებისათვის, ამასთან ზოგიერ ბაღებში სათესი კულტურების შერჩევა სწორად არ წარმოებს და ირღვევა თესვის წესები.

გაგრის რაიონის სოფელ ლესელიძის კოლმეურნეობა „მეგობრობაში" 2,5 ჰექტარ ვენახში დარგული აქვთ თამბაქო, ახალგაზრდა ბაღებში კი ძლიერ მზარდი სათესლე ბოსტნეული, რის გამო ხეხილის ახალგაზრდა ნარგავები ნათესშია ჩაფლული.

მაიაკოვსკის რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობის ვენახის მწკრივთშორისებში დათესილია სიმინდი.

ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობებს ვენახებში სათანადოდ ვერ ეწყობა მეწუანე ოპერაციები, გაფურჩქვნა, ზედმეტი ყლორტების შეცლა და სხვ, ანალოგიური მდგომარეობა ახმეტის, სიგნაღის, ოზურგეთი და ზოგიერთი სხვა რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

გალის რაიონის სოფ. ოტობაიას, სოფ. ნაბაკევის კიროვის სახელობის, ჩოხატაურის რაიონის სოფ. ქვეხობანის და ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ჩხოროწყუს კოლმეურნეობებში ჩაის პლანტაციების საგრძნობი ხაწილი ძლიერ დასარეველიანებულია, ნაწილი კი — ეკალბარდით არის დაფარული.

მოუვლელობისა და უყურადღებობის შედეგად მაიაკოვსკის რაიონში 1963-1964 წლებში დაშენებული 43 ჰექტარი ჩაის პლანტაციის 80-90 პროცენტი განადგურებულია. ასეთი ფაქტები გვხვდება აგრეთვე აფხაზეთის ასსრ, ჩოხატაურისა და ჩხოროწყუს რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობაში. ჩაის ახალგაზრდა პლანტაციების წესიერი მოსაყვანად საჭიროა ეს ნაკვეთები შემოიღობოს და აიკრძალოს პლანტაციებში საქონლის ძოვება, ამასთან ეს ნაკვეთები ბრიგადებს მიემაგროს და პლანტაციების შენარჩუნებისათვის დაწესდეს წამახალისებელი ღონისძიებები.

საგარეჯოს რაიონის სოფლების პატარძეულის, კაკაბეთის, ჩაილრის და ბადიაურის კოლმეურნეობებში მეჩხერი ვენახების შეესების ღონისძიებანი სუსტად ხორციელდება, ხოლო ამ რაიონის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობაში რემონტის წესით დარგული დაუფესვიანებელი რქა უმეტეს წილად გამხმარია. ასეთი შემთხვევებია სხვა რაიონების მეურნეობებშიც.

კარგად ვერ არის დაყენებული მრავალწლიანი ნარგავების მავნებელთა და ავადყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების განხორციელების საქმე, აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბაღებში მოწყენა მხოლოდ ზეთოვანი ემულსიით შეხსურება და ნაწილობრივად, ერთხელ, ბორდოს სითხითა და დდტ-ს კომბინირებული ნარევით შესხურება, დანარჩენ ღონისძიებებს არ ახორციელებენ იმ მოტივით, რომ მწკრივთშორის სათოხნი კულტურებისა და ბალახების მოშხამვას გამოიწვევსო.

ცუდად არის დაყენებული ჩაის მავნებლების წინააღმდეგ ფუმიგაცია ბალის, ოჩამჩირის, ზუგდიდის, ვეგეპკორის, წულეკიძის და ზოგიერთი სხვა რაიონის ჩაის პლანტაციებში. იმის გამო, რომ დროზე არ ეწყობა ფუმიგაცია, წელს ძლიერ გავრცელდა მავნებლები. დასახელებულმა რაიონებმა 1964 წელს სანახევროდაც ვერ შეასრულეს ფუმიგაციის გეგმები და წელსაც სუსტად მუშაობენ ამ მხრივ. სუსტად ხელმძღვანელობს გაერთიანება „საქსოფლტექნიკა" სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელთა და ავადყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს, ადგილებზე შექმნილი რაზმები სათანადოდ არ არიან აღჭურვილნი იარაღ-მანქანებით, მოუწესრიგებელია აგრეთვე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მომარაგება იარაღ-მანქანებით, საფუმიგაციო ინვენტარითა და სათადარიგო ნაწილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამას წინათ განიხილა საკითხი და მიიჩნია, რომ მრავალწლიანი ნარგავების მოვლა-დამუშავების საქმეში გამოვლინებული ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ რაიონული საბჭოების აღმასკომები, რაიონების სოფლის მეურნეობის საწარმოო საამართველოები და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობების ტრესტები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ ამ საქმეს, რის გამო ვერ სრულდება მრავალწლიანი კულტურების გაშენების გეგმები და მოუვლელობის შედეგად ნარგავების დაღუპვის ფაქტებიც კი ვლინდება. ამიტომ მინისტრთა საბჭომ დაავალა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საბალხო მეურნეობის საბჭოს, „საქხალბოსტანს", აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, რაიონების სოფლის მეურნეობის საწარმოო საამართველოებს და სპეციალიზებული საბჭოთა მეურნ

სოციალისტურ ქვეყნებში

რკინიგზის მშენებლობა

კრაზნ. დასასრულს უახლოვდება 90 კილომეტრი სიგრძის ფართოლიანდაგიანი რკინიგზის მშენებლობა, რომელიც აღმოსავლეთ სლოვაკეთის ქალაქ კოშიცეს დაუკავშირებს საბჭოთა საზღვარს, განზრახულია, რომ ეს გზა სიექსპლოატაციოდ გადაეცეს 7 ნოემბერს — დიდი ოქტომბრის 48 წლისთავის დღეს. ეს ტრასა შენდება საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მთავრობათა შეთანხმების საფუძველზე.

რკინიგზას დიდი ეკონომიური მნიშვნელობა ექნება ორივე ქვეყნისათვის, მარტო აღმოსავლეთ სლოვაკეთის მეტალურგიულ კომბინატში, რომელიც კოშიცეში შენდება, ყოველწლიურად გადაუტვირთავად მივა კრავი როგორ 16 მილიონ ტონაზე მეტი რკინის მადანი.

რკინიგზის მშენებლობა წარმოებს საბჭოთა კავშირის ხელშეწყობითა და საბჭოთა სპეციალისტების მონაწილეობით.

ახალგაზრდული გეგმები

ბუდაპეშტი. უნგრეთის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა მოძრაობის „სოციალიზმისათვის მებრძოლი ახალგაზრდობის“ პირველი ხუთი წლის შედეგები. ასეულ ათასობით ქალიშვილი და ჰაბუკი მფლობელი გახდა სპეციალური ნიშნებისა, რომლებსაც გადასცემენ მიღწეულებისათვის შრომაში, სწავლასა და სპორტში.

მომავალი წლიდან მოძრაობა „სოციალიზმისათვის მებრძოლი ახალგაზრდობა“ შედის ახალ ეტაპში.

კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა სოფლის მეურნეობისათვის სპეციალისტთა მომზადების შეფობის პროგრამა.

კუბელი ხალხის ინტერესებისათვის

ჰავანა. კუბელი ხალხი აღნიშნავს ლიბრსშესანიშნავ თარიღს თავისი რევოლუციის ისტორიაში: ეს ხალხი წელისთავს იმ დღიდან, რაც სანიოსალიზებულია ამერიკის კომპანიები, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე დაპარპაშებდნენ კუბაში და ძარცვავდნენ მის სიმდიდრეს. სწორედ მაშინ გადავიდა ხალხის საკუთრებაში ელექტრონადგურები, კავშირგაბმულობის საშუალებანი, შაქრის ქარხნები. იძულებული გახდნენ თავისუფლების კუნძულიდან გადაბარგებულიყვნენ უმძლავრეს ნავთობის მონოპოლიათა მესვეურები, აგრეთვე კომპანია „იუნაიტედ ფრუტ კომპანი“, რომელმაც მთელ ლათინურ ამერიკაში „სახელი გაითქვა“ მძარცველური პოლიტიკით.

კუბელმა ხალხმა დაამტკიცა, რომ უნარი შესწევს უცხოელ მეპატრონეთა დაუხმარებლად მართოს თავისი ეკონომიკა. სოციალისტური ქვეყნების გულწრფელი მეგობრობის დახმარებით კუბა წარმატებით ავითარებს ეკონომიკას, აშენებს ახალ, სოციალისტურ საზოგადოებას.

დიდი მიღწევები

კვირას რუმინეთში აღინიშნა მეშახტის ტრადიციული დღე. მაღაროელთა შორის უკვე ჩვეულებად გადაიქცა დღესასწაულისათვის შეჯამონ ხოლმე სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. რუმინეთის უდიდეს უიუს ხეობის ქვანახშირის აუზში ივლისში გეგმის გადამეტებით ამოიღეს 12 ათას ტონამდე ქვანახშირი. ბევრი ზეგეგმითი ქვანახშირი ამოიღეს კომენშტელმა მეშახტეებმა. მაღაროელთა დღესასწაული წელს განსაკუთრებულ ვითარებაში აღინიშნა. ორი კვირის წინათ მუშაობა დაამთავრა რუმინეთის კომუნისტური პარტიის IX ყრილობამ, რომელმაც დასახა რუმინეთის განვითარების შემდგომი პერსპექტივები. ყრილობაზე მიღებულ დირექტივებში, კერძოდ, დასახულია ამოცანა ერთისამად გადიდდეს ქვანახშირის ამოღება ათწლეულში.

მეგობრობის ვიზიტი

ულან-ბატორი. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის თავმჯდომარის მოწვეებთ აქ ჩამოვიდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობს ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ხოანგ ვან ხოანი. (საკდესი).



ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა. ქალაქ პლზენის ლენინის სახელობის ქარხანაში შექმნილია მაღალი სიზუსტის ავტომატური საბრუნი წრე. მექანიზმი, რომელიც 10 ტონამდე სიმძიმისა და 13 მეტრი სიგრძის ფოლადის ნაგრების მობრუნების შეესაძლებლობას იძლევა ეკი განკუთვნილია უკრაინაში ქარხანა „აზოსტალის“ საგლინავი საამქროსათვის.

სურათზე. საბრუნი წრის აწყობა.

ფოტო ჩეხ.-აას-ისა.

ამერიკელი ოკუპანტები ჩაიფუშნენ

ხალხის მხარეზე გადავიდნენ

ჰანოი. სამხრეთ ვიეტნამის მარიონეტულ არმიაში, რომელიც ზედიზედ მარცხდება სამხრეთ ვიეტნამის პატრიოტული შეიარაღებული ძალების — შეტევის გამო, კვლავ მატულობს დეზერტირობა. ხშირად ჯარისკაცები, რომლებიც გარბიან პატრიოტთა არმიიდან, უერთდებიან პატრიოტთა რაზმებს, რათა იბრძოლონ თავიანთი სამშობლოს განთავისუფლებისათვის. როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, რომელიც სააგენტო „განთავისუფლების“ ცნობას იმოწმებს, მიმდინარე წლის მარტო 6 თვეში ხალხის მხარეზე იარაღით ხელში გადავიდა საიგონის არმიის 13.450 ჯარისკაცი და ოფიცერი. (საკდესი).

პრინცი უპრყოფს

კამბოჯის სახელმწიფოს მეთაურმა პრინცმა ნოროდომ სიანუკმა კვირას განაცხადა, რომ, თუ სამხრეთი ვიეტნამი თავს დაესხმის კამბოჯას ან დაბომბავს მის ტერიტორიას, კამბოჯა დაუყოვნებლივ განახორციელებს შესაბამის საპასუხო ღონისძიებებს. პრინცმა სიანუკმა ეს განაცხადა იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ცოტა ხნის წინათ საიგონელი ხელისუფალნი იმუქრებოდნენ, რომ დაბომბავენ კამბოჯას იმ საბაბით, თითქოს მის ტერიტორიას თავს აფარებდნენ სამხრეთვიეტნამელი პატრიოტები. პრინცმა სიანუკმა კატეგორიულად უარყო ამერიკისა და სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალთა უსაფუძვლო მტკიცებანი, რომ კამბოჯის ტერიტორიას თავს აფარებენ სამხრეთვიეტნამელი პატრიოტები.

„სრულ სოლიდარობას ვუცხადებთ სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნულ ფრონტს და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომელთანაც ძმობა გვაკავშირებს“, — განაცხადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ვალტერ ულბრიხტმა ინდოელთა ყოველკვირეულ „ბლიცისათვის“ მიცემულ ინტერვიუში. ვ. ულბრიხტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა გადაჭრით ილაშქრებს ყოველგვარი პროვოკაციის წინააღმდეგ აზიასა და ევროპაში. ამავე დროს, როგორც სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ თქვა, დასავლეთ გერმანიის მთავრობა უსიტყვოდ უჭერს მხარს ამერიკის შეერთებული შტატების დანაშაულებრივ ომს ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. ბონმა საიგონის მარიონეტულ რეჟიმს მისცა 200 მილიონი მარკა. ერჰარდის მთავრობამ განაცხადა, რომ მზად არის საჭირო მომენტში გაგზავნოს დასავლეთ გერმანიის ჯარები ვიეტნამში ამერიკელთა სარდლობით.

ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრიობა გულისწყრომით აცხადებს პროტესტს იმის წინააღმდეგ, რომ ფაროოვდება ამერიკის აგრესია ვიეტნამში. გაზეთების რედაქციებში, პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოსა და ჩეხოსლოვაკიის მშვიდობის დამცველთა კომიტეტში მოდის მრავალი წერილი, დეპეშა და რეზოლუცია, რომლებშიც რესპუბლიკის მშრომელები მტკიცედ გმობენ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის გადაწყვეტილებას, რომელსაც განზრახული აქვს ჯარების ახალი კონტინგენტები გაგზავნოს სამხრეთ ვიეტნამში.

აღშფოთებითა და გულისწყრომით ვგმობთ ამერიკის მთავრობის გადაწყვეტილებას ვიეტნამში აგრესიული კოლონიური ომის გაფართოების შესახებ. აცხადებენ თავიანთ წერილში ოსტრაველი მაღაროელები. ბრნოს მანქანათშენებლები წერენ, რომ ჩეხოსლოვაკიის მუშათა კლასი, მთელი ხალხი სოლიდარობას უცხადებს ვიეტნამელი პატრიოტების გმირულ ბრძოლას. ვერავინ და ვერასოდეს ვერ გასტეხს ვიეტნამელი ხალხის ნებისყოფას, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი „სვობოდნე სლოვო“, „პრაცე“ სრულ რწმენას გამოთქვამს, რომ ვიეტნამელი ხალხის სამართლიანი საქმე საბოლოოდ გაიმარჯვებს.

„შეწყდეს ომი ვიეტნამში. არა მსურს, რომ ჩვენი შვილები მკვლელები იყვნენ“ — ასე მოუწოდა ლეონორა პისონიმ ნიუ-იორკის კონფერენციის მონაწილეებს, რომელიც მიეძღვნა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის განხილვას. კონფერენცია მოეწყო კონგრესმენ ბენჯამინ როზენტალის ინიციატივით. ამერიკელი დედების სახელით სიტყვა წარმოთქვა ლეონორა პისონიმ და განაცხადა, რომ დადგა დრო, როცა დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს ომი ვიეტნამში, თუ არ შეწყდება ეს ბინძური ომი, თქვა მან, მაშინ მთელი ჩვენი საუკეთესო ახალგაზრდობა დაიღუპება ვიეტნამში. კონფერენციაზე გამოვიდნენ გონივრული ატომური პოლიტიკისათვის კომიტეტის, ვიეტნამის ომის შეწყვეტის კომიტეტის, „ქალებო, იბრძოლეთ მშვიდობისათვის“ მოძრაობის წარმომადგენლები.

ქალაქ ბერკლიში (კალიფორნია) რკინიგზის სადგურზე იმართება სამხრეთ ვიეტნამში ამერიკის ჯარების გაგზავნის წინააღმდეგ მიმართული დემონსტრაციები. 6 აგვისტოს 300-ზე მეტმა კაცმა კვლავ ალუა შემოარტყა რკინიგზას, რომლითაც მიემართებიან ამერიკელი ჯარისკაცებით სავსე შემადგენლობები სამხრეთ ვიეტნამისაკენ. მხოლოდ პოლიციის ჩარევის შემდეგ განაგრძეს გზა ჯარისკაცებით სავსე მატარებლებმა. (საკდესი).

ბარბაროსული თავდასხმები

ჰანოი, 8 აგვისტო. (საკდესი). ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სამდლობის კავშირის მისიამ ვიეტნამის საგმეთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისიას გაუგზავნა წერილი, რომელშიც გმობს ამერიკის ავიაციის ახალ თავდასხმებს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო.

1965 წლის 7 აგვისტოს, ნათქვამია წერილში, ამერიკის თვითმფრინავთა დიდი ჯგუფი, რომლებსაც ბაზა აქვთ ამერიკის შეერთებული შტატების მეგვიდე ფლოტის ხომალდებსა და სამხრეთ ვიეტნამისა და ტაილანდის ბაზებზე, კვლავ შეეჯარნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში, დაბომბეს ბევრი დასახლებული რაიონი და სამრეწველო საწარმო ნინ-ბინსა და ტუენ-კუანგის პროვინციებისა და ვინ-ლინის რაიონში. უფრო მეტიც, მათ დაბომბეს იენბაის, ნგე-ანისა და კუანგ-ბინის პროვინციების ხშირად დასახლებული ქალაქები.

ამმიან და ხალხმა, ნათქვამია წერილში, აგრესორებს საკადრისი პასუხი გასცეს. წინასწარი მონაცემების თანახმად, ჩამოგდებულია ექვსი ამერიკული თვითმფრინავი და ბევრიც დაზიანებულია.

კავშირის მისია გადაჭრით აცხადებს პროტესტს ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიის ამ აქტების წინააღმდეგ. რაც ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტს, საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და ვიეტნამის შესახებ ჟენევის 1954 წლის შეთანხმებათა დარღვევაა, აღნიშნულია წერილში.

წერილი აგრეთვე შეიცავს მოთხოვნას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ყველა აგრესიული მოქმედება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ და ზუსტად დაიცვას ჟენევის 1954 წლის შეთანხმებანი ვიეტნამის შესახებ.

მთავრობის კრიზისი გრძელდება

ათენი, 9 აგვისტო. (საკდესი). გუშინ საღამოს საბერძნეთის მეფე კონსტანტინე შეხვდა „ცენტრის კავშირის“ პარტიის ლიდერს გ. პაპანდრეუს.

შეხვედრის შემდეგ, რომელმაც 15 წუთს გასტანა, პაპანდრეუმ განცხადება გააკეთა პრესისათვის. განცხადებაში ნათქვამია, რომ მეფემ „კონსულტაციისა და ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა უარი უთხრა „ცენტრის კავშირის“ ლიდერს საბერძნეთის ახალი მთავრობის შექმნის მანდატზე, აგრეთვე მანდატზე, რომ შექმნას დროებითი მთავრობა საყოველთაო არჩევნების მოსაწყობად საბერძნეთში.

პაპანდრეუმ თავის განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნა: სინანულით გამოქვეი მეფის პასუხის გამო და ვერჩევ ნუ ეცდება ახალი კაბინეტის შექმნას „ცენტრის კავშირის“ ფარგლებში.

პაპანდრეუს ამ რჩევის მიუხედავად, მეფემ მასთან შეხვედრის შემდეგ გამოიძახა „ცენტრის კავშირის“ პარტიის ერთ-ერთი წარმომადგენელი სტეფანოპულოსი. მეფის სასახლიდან გამოსულისას სტეფანოპულოსმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მეფემ მისცა მანდატი „სცადოს მთავრობის შედგენა“.

ლონდონი, 9 აგვისტო. (საკდესი). ჩომბემ კონგოს პრეზიდენტს კასავუბუს შესთავაზა კვლავ გადადოს კონგოს პარლამენტის დეპუტატთა „ხელახალი არჩევნები“ ცენტრალური კოუვეტის პროვინციაში. ამას იუწყება რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ლეოპოლდვილიდან. ეს „ხელახალი არჩევნები“ გუშინ უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ჩომბემ, რომელიც არჩევნების წინ იყო ცენტრალური კოუვეტის პროვინციის მთავარ ქალაქ კოკიიაველში და ეს-ეს არის დაბრუნდა, რადიოთი გამოაცხადა, რომ სთხოვა პრეზიდენტს 12 აგვისტომდე გადადონ არჩევნები.

არჩევნები კვლავ გადაიდო

საკდესის კომენტატორი ვ. დორონოვი წერს:

„ხელახალი არჩევნების“ გადადება ცენტრალური კოუვეტის პროვინციაში, დასაკლელ მეთვალყურეთა აზრით, ჩომბეს მორიგი ფანდია კონგოს ხელისუფლებისათვის ბრძოლაში, რომელიც სულ უფრო მწვავდება ჩომბესა და პრეზიდენტ კასავუბუს შორის. ჩომბეს, რომელიც ეერეთწოდებული საერთო ეროვნული არჩევნების აწყობს კონგოში, რომლის დიდი ნაწილი არ ექვემდებარება ლეოპოლდვილის ხელისუფლებს და აუანყებულთა ხელშია, იმედი აქვს, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში კანონიერი პრემიერის რეპუტაციას მოიპოვებს, აგრეთვე ჩამოიშორებს კონკურენტებს. სხვადასხვა ჟურნალ პოლიტიკურ დაჯგუფებათაგან მან შექმნა კონკაოს პარტია, რომელმაც სხვადასხვა თაღლითობით „დამაჯერებელი გამარჯვება“ მოიპოვა არჩევნებში. ამრიგად ჩომბემ განაღდა ადგილების უმრავლესობა პარლამენტში და, როგორც უცხოელი კორესპონდენტები იუწყებიან, განიზრახა დაიკავოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტი.

ჩომბეს პოზიციათა განმტკიცება, რა თქმა უნდა, არ მოსწონთ ახლანდელ პრეზიდენტსა და მის მომხრეებს. ჩომბეს დოკებისა და მისი პატივმოყვარული გეგმების ჩაშლის მიზნით, კასავუბუმ დაამტკიცა ლეოპოლდვილის საპატიოცაცია სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდეს არჩევნების შედეგები კონგოს სამ პროვინციაში, მათ შორის ცენტრალური კოუვეტის პროვინციაში. მან საჯაროდ გამოაცხადა, რომ „არჩევნების“ დროს ბევრი წესი დაირღვა. „ხელახალი არჩევნების“ მოწყობით კასავუბუსა და მის მომხრეებს სურთ ჩომბეს პარტიას წაართვან ადგილების მეხუთედი მაინც პარლამენტში, და ვარაუდობენ, რომ შეძლებენ ამ პროვინციებში გაიყვანონ თავიანთი მომხრეები, კერძოდ ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ბომბოკო. მაგრამ ჩომბე არ აპირებს უბრძოლველად დანებდეს თავის კონკურენტებს. იგი პირადად იყო სამივე პროვინციაში და მოაწყო თავისი პარტიის წინასაარჩევნო მიტინგები.

ეერეთწოდებული ეერეთწოდებული

ძვირფასი საჩუქარი

იაპონიის ქალაქ ნაგასაკის ატომური დაბომბვის 20 წლისთავის წინ სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასრულებელმა კომიტეტმა და საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტმა გადაწყვიტეს საჩუქრად უძღვნან ნაგასაკის ჰოსპიტალს თანამედროვე სამედიცინო მოწყობილობის კომპლექტი, განაცხადა ნაგასაკიში გამართულ პრესკონფერენციაზე საბჭოთა კავშირის წითელი ჯვრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ფ. ვ. ზახაროვმა.

ნაგასაკის ჰოსპიტლის დირექტორმა პროფესორმა ხიოტაირო იოკოტამ გულთბილი მადლობა გადაუხადა საბჭოთა ხალხს ძვირფასი საჩუქრისათვის. (საკდესი).

ამერიკელ-სსრ კავშირის გაზსადენი

ჩრდილოეთ ავღანეთში საბჭოთა ტექნიკოსების მონაწილეობით აღმოჩენილია შიბერგანის ჯგუფის გაზის საბადოთა დიდი მარაგი. აქ არის რამდენიმე ათეული მილიარდი კუბური მეტრი ლაჟვერდის სათბობი. გაზის ნაწილი მოხმარდება ადგილობრივ საწარმოო საჭიროებებს, ნაწილი კი, ავღანეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობათა შეთანხმების შესაბამისად მოსასადენით წავა სსრ კავშირში და მოხმარდება შუა აზიის რესპუბლიკების სამრეწველო საწარმოთა საჭიროებებს.

ამ მაგისტრალის საპროექტო დავალება შესრულა აღმოსავლეთის გაზის საპროექტო ინსტიტუტის კოლექტივმა. ამ საქმეში მოიწონეს სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტმა და ავღანეთის სამთო საქმის და მრეწველობის სამინისტრომ.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ს. ი. ბოკსეტმანმა განაცხადა:

— ტრასის სიგრძე დაახლოებით ასი კილომეტრია. მისი ყველაზე რთული ადგილი ამურ-დარიაზე გადასასვლელი. ეგი გადაკვეთს აგრეთვე საავტომობილო გზებს, სარწყავ არხებს. მშენებლებს მოუხდებათ მძლავრი ტექნიკა — მიწამოძრავები, ექსკავატორები.

ექსპლოატაციის დაწყების შემდეგ მაგისტრალი გაატარებს მილიარდ-ნახევარ კუბურ მეტრ გაზს. შემდგომში მისი გამტარუნარიანობა გაიზრდება.

გაზსადენის მშენებლობა დაიწყება ოქტ.

ფუნდუკი—ზღაპრული ტბა

ტბას ფუნდუკი სამხრეთ აფრიკაშია და ამასთანავე კილომეტრით არის დაშორებული ინდოეთის ოკეანისგან. უახლოესი ქალაქის ლუი ტრიჩარდის მცხოვრებნი არასოდეს არ დადიან ტბაზე და მისკენ მიმავალი გზა თითქმის ორროლა კაცმა თუ იცის. ტბის რაიონში ოდითგანვე ცხოვრობს ბავშვდას ტომი, მაგრამ ამ ტომის არც ერთი წარმომადგენელი, რა საფასურიც უნდა გაიღოს მოგზაურმა, არ მიასწავლის ტბისკენ მიმავალ გზას, ამბობენ, ფუნდუკი დაწყევლილი ტბაა. ყოველი თევზკანიანი, ვინც ფეხს დაისვენებს ამ ტბის ნაპირზე, იმ წუთსავე მოკვდება. ბავშვნდას ეშინია ამ ტბის. ადგილობრივ ბავშვებს ეს ეშინიათ, ეშინიათ ამ ტბის, ეშინიათ ფუნდუკი ტბა. ყოველ ადგილობრივ ბავშვს ეშინია

დიდი მგოსნის მუზეუმი ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲐ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ

ᲓᲣᲨᲔᲗᲘ. (საკ. კორ.). პატარა სოფლის მკუდრეთებას ავტობუსების და მსუბუქი მანქანების გუგუნი არღვევს. ახმაურება ჩარგალი, დროდადროდ ისმის ჩარგლელის რიხიანი ხმაური.

ბუნების მგოსნის ხსოვნის პატივსაცემად ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ. მოვიდნენ აგრეთვე უცხოელი სტუმრები, მოძმე სომხეთის მშრომელთა წარმომადგენლები.

ვაჟას სახლ-მუზეუმისაკენ მიმავალ ბილიკზე ხალხის უწყვეტი ნაკადი მიედინება. ხალხით ივსება მუზეუმი და მისი კარმიდამო.

სახელგანოვან მოწყობილ სცენაზე პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ მწერლები, ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივობის წარმომადგენლები, ჩარგლელი მშრომელები. აქვე არიან ვაჟა-ფშაველას შვილები, შვილიშვილები და ახლო ნათესავები.

დიდი პოეტის გარდაცვალების 50 წლისთავის აღნიშვნისადმი მიძღვნილი მიტინგი გახსნა პარტიის დუშეთის რაიკომის პირველმა მდივანმა არჩილ შადურმა. მან სიტყვა მისცა პოეტ-აკადემიკოს გიორგი ლეონიძეს. მომხსენებელმა ფართოდ გაანალიზა ვაჟა-ფშაველას ცხოვრება და შემოქმედება.

ვაჟას შემოქმედებას შეეხო კრიტიკოსი სერგი ჭილაია.

დუშეთის რაიონის ახალგაზრდობის სახელით სიტყვა წარმოთქვა საქართველოს ალკა დუშეთის რაიკომის მდივანმა ზვინიამ მელოდურმა. მიტინგზე გამოვიდნენ აგრეთვე აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პოეტი ბ. შინკუბა და სომეხი მწერალი ვაზგენ მანაკანიანი.

საკუთარი ლექსები წაიკითხეს ახალგაზრდა პოეტმა ალაზა ხაიაურმა, დუშეთის რაიონის მასწავლებლებმა ვიქტორ კასრაძემ, ირაკლი ტუნტურიშვილმა. მოსწავლეებმა ივანე ქართველიშვილმა და ტარიელ არაბულმა, ეკა-ფშაველას შვილიშვილმა ალექსი რაზიკაშვილმა, პოეტებმა ლილი ხუციშვილმა, კასო გორგაძემ, ალექსანდრე მანიძემ, ფშაველმა კოლმეურნემ ალექსი ხეცურაულმა, სახალხო მთქმელმა ნიკო ბელადაურმა.

ბოლო არ უჩანს ლექსების კითხვას. მთაში ლექსებს რა გამოლევს, მეტადრე ისეთ ადამიანზე, როგორიც დიდი ვაჟა იყო.

მიტინგის დასასრულს გაიმართა შეჯიბრება ჭიდაობაში, ცხენოსნობაში, ცეკვაში მთების ფერდობებიდან ელვასავით დაეშვნენ ხევსური ცხენოსნები.

ბევრის მოწმე და მომსწრენი გახდნენ ჩარგალელებიც და მათი სტუმრებიც. კვლავაც ესტუმრებიან ბუნების მგოსნის კარმიდამოს. არასოდეს არ მოეკიდება ხავსი და ბალახი იმ ადგილს, სადაც ეწყება მსოფლიოს დიდი გზები.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲬᲔ: მიტინგი ვაჟა-ფშაველას მშობლიურ სოფელ ჩარგალში.

ფოტო შ. კუკულავასი.



ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲬᲝᲚᲔᲑᲐ — ᲗᲕᲘᲗᲛᲝᲥᲛᲔᲓ ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲝᲜᲚᲔᲑᲘᲡᲐ და საბჭოთა დრამატურგების ბევრი კარგი დადგმა უჩვენეს მაყურებლებს ტყვარჩელის მეშახტეთა კულტურის სახლისა და სოხუმის მედიცინის მუშაკთა კულტურის სახლის ბერძნული დრამატული წრის თეატრალურმა კოლექტივებმა. მათი სპექტაკლები დიდად დააფასეს მშრომელებმა.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა მიილო დადგენილება სახალხო თეატრის საპატიო წოდება მიანიჭოს ტყვარჩელის მეშახტეთა კულტურის სახლის თეატრალურ კოლექტივს და სოხუმის მედიცინის მუშაკთა კულტურის სახლის ბერძნულ დრამატულ კოლექტივს. (საქდესი).

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

● **ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ.** (საკ. კორ.). ელექტრომექანიკურ ქარხანაში, სადაც ოცამდე სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები მუშაობენ, ტრადიციად იქცა მეგობრობის სალამოების მოწყობა.

ამ დღეებში აქ გაიმართა მეგობრობის დიდი სალამო. შეკრებილებმა მოისმინეს საუბარი სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობაზე.

სიტყვებით გამოსულმა სხვადასხვა ეროვნების მშრომელებმა ილაპარაკეს ძმურ, კოლექტიურ შრომაზე, ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი ფიქრები და მიზნები. დასასრულ გაიმართა მეგობრობის კონცერტი.

● **ᲗᲔᲚᲐᲕᲘ.** (საკ. კორ.). მოეწყო იყალთოს სახალხო უნივერსიტეტის მსმენელთა პირველი გამოშვება. იგი დაამთავრა 150-მა კოლმეურნემ, მუშა-მოსამსახურემ და დასასლისმა.

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲒᲘᲢᲐᲢᲝᲠᲘ“ № 15

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲘᲓᲐ ჟურნალი „საქართველოს აგიტატორი“ № 15. ნომერში გამოქვეყნებულია — „ენგურჰესი საერთო-სახალხო მშენებლობაა“; ა. მეუნარგია — „იდეურ-პოლიტიკური მუშაობის მაღალი დონისათვის“; ო. სალარიძე — ახალგაზრდობა — ყურადღების ცენტრში“; ბ. ქირია — „აგიტკოლექტივი ბრძოლის-უნარიანი რომ იყოს“; გ. ოდიშარია — „მიზანი — მშენებელთა აღზრდა და დარაზმვა“; ა. ბაბახანოვი — „აღვზარდოთ ადამიანები საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით“; ზ. მაისაია — „გეგმა, რიტმი, ხარისხი“; გ. ჯეგუჩაძე — „ნოვატორი მეჩაიე დალი წიგნიკაძე“.

ᲬᲧᲐᲚᲓᲘᲓᲝᲑᲐ ᲖᲚᲕᲘᲡᲞᲘᲠᲔᲗᲨᲘ

ᲕᲚᲐᲓᲘᲕᲝᲡᲢᲝᲙᲘ, 9 აგვისტო. (საკადესის კორ.). კოკისპირული წვიმების შედეგად წუხელ ადიდდა ზღვისპირეთის მდინარეები. ზოგიერთ ადგილს წყლის დონე იქნს მეტრამდე აღწევს, წყალდიდობამ დიდი ზარალი მიაყენა ზღვისპირეთის მხარის სოფლის მეურნეობას. დაზარალებულია ზოგიერთი ხიდი და გზა. განსაკუთრებით დაზარალდა ხასასსის, ნადეკდინსკის, უსუერიისკის, პოგრანიჩნისა და ხასასის რაიონები.

ქალაქ უსურიისკში წყლით დაიფარა ბევრი ქუჩა. უსურიელები წინასწარ იყვნენ გაფრთხილებული და ამიტომაც მოემზადნენ ევაკუაციისათვის. ისინი დროულად გაიყვანეს უხიფათო ადგილას. მიუხედავად იმისა, რომ განსაკუთრებით ძლიერი წყალი ღამით მოედინებოდა, ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა.

მაშველ სამუშაოებში მონაწილეობენ წითელდროშოვანი წყნარი ოკეანის ფლოტის ქვეგანაყოფები და ორი ოლქის მეომრები. ვერტმფრინავებსა და ამფიბიებს გამოჰყავთ მცხოვრებლები დატბორილი ადგილებიდან, სტქიფური უბედურების ადგილებში მიაქვთ სურსათი.

ზღვისპირეთის მხარის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოში განაცხადეს, რომ კოკისპირული წვიმების დროს მოვიდა 300 მილიმეტრამდე ნალექი.

ᲐᲚᲐᲕᲔᲠᲓᲔᲚ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲗᲐᲜ

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ. (საკ. კორ.). თითქმის ათი წელია ერთმანეთს ეჯიბრებიან ზესტაფონისა და მომმე სომხეთის ალავერდის რაიონების მშრომელები, ისინი მეტი ლითონისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისათვის იბრძვიან. გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს ზესტაფონელი და ალავერდელი მეტალურგები, კოლმეურნეები.

ზესტაფონელთა ძმური დახმარებით ალავერდელებმა ათობით ბეჭტარზე გააშენეს ვაზის ძვირფასი ჯიშები, ხოლო ალავერდელები ქართველ მეგობრებს დაეხმარნენ მეცხოველეობის აღმავლობაში.

ამ ორი რაიონის მშრომელთა დელეგაციები ხშირად მიდიან ერთმანეთთან. ახლახან ალავერდში იყო ზესტაფონელ მშრომელთა დელეგაცია, რომელსაც საქართველოს კპ ზესტაფონის რაიკომის მდივანი ზ. ფერაძე ხელმძღვანელობდა.

დელეგაციის წევრები გაეცნენ რაიონის საწარმოებისა და კოლმეურნეობების საქმიანობას, ესაუბრნენ წარმოების ნოვატორებს.

ᲓᲘᲚᲐ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲐᲚᲐᲖᲐᲜᲖᲔ.

ფოტო შ. ᲩᲮᲔᲢᲘᲐᲜᲘᲡᲐ.

ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ

8 აგვისტო პროფკავშირული სპარტაკიადის მორიგ ასპარეზობათა დღე იყო, გამოვლინდნენ ახალი ჩემპიონები, სპარტაკიადის პრიზიორები.

ყურადღების ცენტრშია მძლეოსანთა შეჯიბრება. სპორტულ სიარულში 20 კილომეტრზე უძლიერესი აღმოჩნდა ომსკელი სპორტსმენი **გ. სოლოდოვი,** რომელმაც აჩვენა დრო — 1 სათი, 30 წუთი და 55,8 წამი. თბილისელმა **ა. შჩერბინამ** ვერცხლის მედალი მოიპოვა, მეორე თბილისელმა მძლეოსანმა **ი. დელა-როსამ** ბრინჯაოსი. ამ უკანასკნელმა შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა. როგორც მოსალოდნელი იყო, **თ. პრესი** ჩემპიონი გახდა ბადროს ტყორცნაში. 400 მეტრზე რბენაში პირველი ადგილი დაიკავა **ლ. ერიკმა** — 55,4 წამი.

80 მეტრზე თარჯრბენში ყველას აჯობა **გ. ბისტროვამ. ლ. სამოტოსოვამ** მოიგო 200 მეტრზე რბენია ფინალი. 110 მეტრზე თარჯრბენში ოქროს მედალი მოიპოვა **ლ. მიხაილოვმა. ვ. მიხაილოვი** უძლიერესი იყო 800 მეტრზე რბენაში.

გამოვლინდნენ ჩემპიონები ქვემსტუმი და მსუბუქი წონის ძალოსანთა შორის. ესენი არიან **ვ. ვარავა** — 352,5 კილოგრამი. გამარჯვებულს 10 კილოგრამით ჩამორჩა **დ. შანიძე** და მეხუთე ადგილი დაიკავა. მსუბუქ წონაში გაიმარჯვა **ვ. ბუშუევმა** — 390 კილოგრამი. ქალთა შორის რაპირით ბრძოლაში **ვ. პრუტკოვამ** სძლია **ლ. ფილიპოვას** და ოქროს მედალი მოიპოვა. სპრინტერულ რბოლაში წარმატება ხვდა ტულელ **ვ. სავინას. ჯგუფურ** რბოლაში ქალთათვის 45 წრეზე პირველი ადგილი დაიკავა **ა. პურონენმა,** ჯგუფურ რბოლაში 150 კილომეტრზე წარმატება **ვ. კურბატოვს** ხვდა.

საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა გუნდმა მოუგო უზბეკეთის გუნდს 22:18 და ფინალში გავიდა, სადაც ებრძოლებს პირველ-მეეტვსე ადგილებისათვის.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. 9 აგვისტო. (ტელეფონით საეც. კორ.). დღეს გრძელდებოდა პროფკავშირული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ასპარეზობები.

ფიცარნაგზე პაექრობა ჰქონდათ ქვეყანაშუალო წონის შტანგისტებს. აქ წარმატებას მიაღწია **კურინოვმა,** რომელმაც სამჭიდში 420 კილოგრამი შეაგროვა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი **სვინჩენკო** მეხუთე იყო შედეგით — 407,5 კილოგრამი.

ჩვენი რესპუბლიკის ხელბურთელებს დღეს პაექრობა ჰქონდათ მოსკოვის ძლიერ კოლექტივთან და დამარცხდნენ 0:3. სასტენდო სროლაში ლიდერია საქართველოს გუნდი — 537 ქულა. ამდენივე ქულით მოსკოველები მეორე ადგილზე არიან. ტყვიის მსროლელთა ასპარეზობაში წინ არის მოსკოვის მსროლელთა კოლექტივი. საქართველოს გუნდი მეხუთე ადგილზეა.

გაიმართა მაგიდის ჩოგბურთელთა მორიგი მატჩი. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა მოუგეს ყირგიზეთის გუნდს 11:2. წყალში ტრამპლინიდან ხტომაში ვაჟთა შორის ჩემპიონი გახდა მოსკოველი **საფონოვი.** საქართველოს სამი სპორტსმენი ათეულში მოხვდა.

ᲐᲮᲚᲐ ᲙᲘ ᲡᲞᲐᲡᲙᲘ-ᲭᲐᲚᲘᲡ ᲛᲐᲢᲩᲘ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ცნობილი გახდა მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობის ნახევარფინალურ მატჩში მიხეილ ტალსა და დანიელ ბენუ ლარსენს შორის გაიმართა საბჭოთა გროსმაისტერმა ანგარიშით 5,5:4,5.

მსოფლიოს საჭადრაკო ჩემპიონატების ისტორიაში ძნელია მოიძებნოს ესოდენ მძელვარე და მძაფრი შეჯიბრების მაგალითი, როგორიც ტალ-ლარსენის ორთაბრძოლა იყო. ორივე პრეტენდენტი (თითქმის თანატოლები) განწყობილი იყო მებრძოლურად და გადაწყვეტილი ჰქონდა დაემტკიცებინა თავისი უპირატესობა. გროსმაისტერული ყაიმები, რაც დამახასიათებელია ამგვარი მატჩებისათვის, არც შეიძლება ყოფილიყო. შემთხვევითი არ არის, რომ მთელი მატჩის მანძილზე ბედის სასწორი გადაიხრებოდა ხოლმე ხან ერთ, ხან მეორე მხარეზე. ექსპერტები არაერთხელ გახდნენ იძულებული - შეეცვალათ თავიანთი პროგნოზები.

ლარსენისათვის ეს ორთაბრძოლა, უეჭველია, ერთადერთი შემთხვევა იყო, რომელიც საშუალებას აძლევდა გზა გაეკაფა საჭადრაკო ოლიმპისაკენ. იგი ოცნებობდა გაიმარჯვა ანგარიშით 5,5:4,5 და აშკარად განუცხადა კიდეც ეს ჟურნალისტებს საუბარში. მაგრამ მოხდა პირიქით. ტალი ტალად დარჩა. მან ცხადყო დიდებული კომბინაციური აზროვნება და ნატიფი ხელოვნება დაცვაში.

ფინიშზე მსოფლიო ექს-ჩემპიონმა შეძლო ეხსნა მეცხრე პარტია, რომელმაც მისგან ძალების უდიდესი დაძაბვა მოითხოვა, შემდეგ კი ნებისყოფის უდიდესი დაძაბვით წარმატება მოეპოვებინა, უკანასკნელ მეათე პარტიაში.

ამრიგად, საჭადრაკო გვირგვინი კვლავ ინდებურად სსრ კავშირში რჩება. ახლა ჭადრაკის მოყვარულნი მოუთმენლად ელიან სპასკი-ტალის მატჩს, რომელიც გაიმართება შემოდგომაზე. ამ მატჩში გამარჯვებული კი იბრძოლებს მომავალ წელს მსოფლიოს ჩემპიონ ტიგრან პეტროსიანთან.

ი. ᲠᲝᲖᲚᲘᲜᲘ,
საერთაშორისო არბიტრი, საკადესის საჭადრაკო მიმომხილველი.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲜᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲜᲘ

ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ, 9 აგვისტო. (საკადესი). მსოფლიოს ჩემპიონობა ჭადრაკში როგორც შარშან, წელსაც საბჭოთა სტუდენტების გუნდმა მოიპოვა. რომენეთის საკურორტო ქალაქ სინაიაში გუნდმა თინანში შეაგროვა 21 ქულა და გაიმარჯვა 17 ქვეყნის ახალგაზრდა მოჭადრაკეთა ტურნირში. ჩვენი სტუდენტების სპორტულ ღირსებას იცავდნენ ხარკოველი **ვ. სავონი,** როსტოველი **გ. ხოდოსი,** ერევნელი **ე. მნაცაკანიანი,** ნოვოსიბირსკელი **გ. ანოშინი,** მინსკელი **ა. კაპენგუტი** და მოსკოველი **ბ. შიპოვი.**

მეორე ადგილი დაიკავა ისრაელის, მესამე კი დანიის გუნდმა.

ᲤᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲗ ᲗᲣ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ?

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 9 აგვისტო. (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონი ჭადრაკში რ. ᲨᲘᲛᲨᲘᲩᲘ, რომელსაც სახელმწიფო დეპარტამენტმა „საგარეოპოლიტიკური მოსაზრებებით“ ნება არ მისცა ჰავანაში წასულიყო კაპაბლანკას ხსოვნისადმი მიძღვნილ ტრადიციულ ტურნირზე, თვალსაჩინო კუბელი მოჭადრაკის მემორიალში მონაწილეობას მიიღებს... ტელეფონით.

ჭადრაკის ერთ-ერთი ენთუზიასტის ამ იდეას მხარი დაუჭირა იურისტმა Დ. ᲓᲔᲕᲘᲡᲛ, რომელსაც ფიშერმა მიმართა მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ კუბაში წასვლა აუკრძალა. დევისი ტურნირის ორგანიზატორებს შეეკითხა და თანხმობა მიიღო, რომ ფიშერმა დაუსწრებლად მიიღოს მონაწილეობა მემორიალში. ამერიკელი გროსმაისტერი „ითამაშებს“ ნიუ-იორკის ერთ-ერთ ჭადრაკის კლუბში არბიტრის მეთვალყურეობით და სვლის ტელეფონით გადასცემს ჰავანაში.

მაგრამ შეიძლება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა ასეთი კავშირიც აკრძალოს თავისუფლების კუნძულთან, სადაც მალე შეიკრიბებიან აზერბაიჯანის, ბულგარეთის, უნგრეთის, დანიის, ესპანეთის, კანადის, სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის უძლიერესი მოჭადრაკენი.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ

ᲑᲐᲡᲚᲣᲚ კვირადღეს მოსკოვში დაიწყო დიდი საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში. გარდა საბჭოთა სპორტსმენებისა, შეჯიბრებაში მონაწილეობენ ავსტრალიის, ინგლისის, იტალიის, პოლონეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩოგბურთელები.

პირველ დღეს წარმატებით გამოვიდნენ და ბრძოლის შემდგომ ეტაპში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ავსტრალიელებმა ᲛᲔᲚᲕᲘᲚᲛᲐ და ᲙᲝᲜᲡᲘᲛ, იტალიელებმა ᲑᲝᲠᲐᲖᲘᲜᲘᲗᲘ და ᲑᲐᲡᲘᲛ, საბჭოთა ჩოგბურთელებმა ᲑᲐᲓᲨᲘᲛᲝᲕᲐᲛ, ᲙᲘᲛᲘᲗ, ᲛᲔᲢᲠᲝᲤᲐᲜᲝᲕᲐᲛ, ᲛᲔᲠᲝᲠᲝᲕᲐᲛ და სხვებმა.

გუშინ გაიმართა მორიგი შეხვედრები.

წარმატებას მიაღწია ᲙᲐᲙᲣᲚᲘᲐᲛ, რომელმაც დაამარცხა ავსტრალიელი ᲡᲢᲐᲑᲡᲘ და ნერვიულ ფინალში გაიიდა, ᲛᲘᲜᲐᲠᲘᲜᲗᲖᲘᲚᲛᲐ წააგო ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲘᲣᲡᲘᲡᲗᲐᲜ, ᲛᲔᲢᲠᲝᲤᲐᲜᲝᲕᲐᲛ მოუგო ᲚᲐᲪᲘ, იტალიელმა ᲑᲐᲡᲘᲛ — ᲒᲠᲐᲛᲝᲚᲝᲕᲣᲚᲘ, ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ — ᲡᲐᲜᲜᲘᲜᲒᲘᲡᲐᲡ.

„ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡ“ ᲛᲔᲣᲕᲘᲚᲔ ᲤᲠᲔ

ᲒᲣᲨᲘᲜ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა მატჩი ფეხბურთში „ა“ კლასის მეორე ჯგუფის პირველი ქვეჯგუფის გუნდებისათვის. თამაშობდნენ თბილისის „ლოკომოტივისა“ და გროზნოს „თერგის“ გუნდები.

პირველი ტაიმი აღინიშნა ორმბრივი ინერციშებით. არა ერთი რეალური შესაძლებლობა ჰქონდა როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს, მაგრამ საგოლო მომენტები გამოუყენებელი დარჩა და ტაიმი 0:0 დამთავრდა.

მეორე ნახევარი უფრო მძაფრი გამოდგა. ანგარიში სტუმრებმა გახსნეს. ეს მოხდა 57-ე წუთზე. „თერგის“ ფორვარდმა ᲙᲝᲡᲝᲛᲝᲛ კარგად ისარგებლა დაცვის შეცდომით და ბურთი ლოკომოტიველთა ბადეში გაგზავნა.

ამის შემდეგ მთელი თამაში სტუმრობა კართან მიმდინარეობდა, კუთხურებისა და ჯარიმების დათვლა ძნელი იყო. ასეთ ორომტრიალში ᲙᲝᲨᲕᲘᲚᲘᲡᲨᲕᲘᲚᲘᲡ კუთხურიდან 75-ე წუთზე შეელო წონასწორობის აღდგენა.

ანგარიში 1:1 უცვლელი დარჩა, მეტოქეებმა აქტივში თითო ქულა ჩაიწერეს.

Ნ. Გ. ᲛᲔᲘᲤᲐᲠᲘᲐᲜᲘ

ᲛᲝᲣᲚᲝᲚᲝᲜᲔᲚᲘᲡᲐᲓ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲮᲚ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲡᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲔᲘᲤᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲔᲮᲡᲝᲜᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲠᲘ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ

ᲑᲐᲡᲚᲣᲚ კვირადღეს მოსკოვში დაიწყო დიდი საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში. გარდა საბჭოთა სპორტსმენებისა, შეჯიბრებაში მონაწილეობენ ავსტრალიის, ინგლისის, იტალიის, პოლონეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩოგბურთელები.

პირველ დღეს წარმატებით გამოვიდნენ და ბრძოლის შემდგომ ეტაპში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ავსტრალიელებმა ᲛᲔᲚᲕᲘᲚᲛᲐ და ᲙᲝᲜᲡᲘᲛ, იტალიელებმა ᲑᲝᲠᲐᲖᲘᲜᲘᲗᲘ და ᲑᲐᲡᲘᲛ, საბჭოთა ჩოგბურთელებმა ᲑᲐᲓᲨᲘᲛᲝᲕᲐᲛ, ᲙᲘᲛᲘᲗ, ᲛᲔᲢᲠᲝᲤᲐᲜᲝᲕᲐᲛ და სხვებმა.

გუშინ გაიმართა მორიგი შეხვედრები.

წარმატებას მიაღწია ᲙᲐᲙᲣᲚᲘᲐᲛ, რომელმაც დაამარცხა ავსტრალიელი ᲡᲢᲐᲑᲡᲘ და ნერვიულ ფინალში გაიიდა, ᲛᲘᲜᲐᲠᲘᲜᲗᲖᲘᲚᲛᲐ წააგო ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲘᲣᲡᲘᲡᲗᲐᲜ, ᲛᲔᲢᲠᲝᲤᲐᲜᲝᲕᲐᲛ მოუგო ᲚᲐᲪᲘ, იტალიელმა ᲑᲐᲡᲘᲛ — ᲒᲠᲐᲛᲝᲚᲝᲕᲣᲚᲘ, ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ — ᲡᲐᲜᲜᲘᲜᲒᲘᲡᲐᲡ.

◆

ᲞᲠᲝᲤ. ᲨᲐᲠᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ

ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲚᲘ ᲞᲠᲝᲤ. ᲨᲐᲠᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲮᲚ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲡᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲔᲘᲤᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲔᲮᲡᲝᲜᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲠᲘ.

◆

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ

Გ. ᲑᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲤᲔᲠᲗᲝ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ

8 აგვისტო ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲤᲔᲠᲗᲝ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲛᲝᲬᲕᲘᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲤᲔᲠᲗᲝ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲛᲝᲬᲕᲘᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲤᲔᲠᲗᲝ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲛᲝᲬᲕᲘᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘ.

ᲥᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲚᲓᲐ

ᲠᲐ ᲙᲘᲗᲮᲔᲑᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲥᲕᲧᲘᲐᲜᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛ ᲥᲐᲚᲔᲑᲡ ᲚᲐᲛᲐᲖᲐᲓ ᲓᲐ ᲔᲚᲔᲒᲐᲜᲢᲣᲠᲐᲓ ᲔᲪᲕᲐᲗ



ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲚᲗᲐ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲘᲗ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲐᲚᲐᲖᲐᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲞᲘᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲡᲘᲠᲘᲜᲔ.

ᲛᲘᲣᲠᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲛᲝᲓᲓᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲡᲘᲠᲘᲜᲔ. ᲐᲮᲚᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲘᲗ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲐᲚᲐᲖᲐᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲞᲘᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲡᲘᲠᲘᲜᲔ. ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲘᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑ